# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 16 თებერვალი, 1997 წელი.

№38 (2411)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი. თბილისის გარეთ 45 თეთრი.


პიროვნება

## შენ კი გენაცვალე, ოთარ გაბელაშვილო!



„მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს"... შორიდან არ ვიცი, როგორ მოვჩანვართ, მაგრამ სახლში ხომ კარგად მოგვეხსენება ვინცა ვართ? ჩვენ რომ შიგნიდან გავტეხეთ, იმას, არ ვიცი, რა ერქვა, ციხე-სიმაგრე რომ არ ერქვა, ეს კი ნაღდია...

დღეს კიდევ ზეიმობს სიძულვილი! კვლავაც არ გვიყვარს ერთმანეთი, კვლავაც არ ვფიქრობთ მეორე კაცის ბედზე. ერთი პროფესია ჰქონდა ქართველ კაცს – თამადობა, სხვა ყველაფერი სხვისი იყო: ეზო სხვას უნდა დაეგავა, ფეხსაცმელი სხვას უნდა შეეკეთებინა, ვაჭრობა სხვის ხელში იყო, დალაქი ქართველი არ უნდა ყოფილიყო, ჩვენ ვმღეროდით: „რაც კარგები ვართ ქართველები ვართო" და ვილხენდით... ყველაფერი წინ დაგვხვდა, ყველაფერი ძმრად წამოგვედინდა...

იხ. მე-9 გვ.

ვიზიტი

## ორი ქვეყნის დიდი ხნისა და კეთილი ურთიერთობის ისტორიაში ახალი, შინაარსიანი ფურცელი ჩაიწერა

**როგორც ვიუწყებოდით, დასრულდა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში.**

**დღეს გთავაზობთ მასალებს, რომლებიც საქინფორმის სპეციალურმა კორესპონდენტებმა თბილისში დაბრუნებისთანავე მოგვაწოდეს.**

საქართველო-უკრაინის ორმხრივი თანამშრომლობის დროს პრაქტიკული მოქმედებისათვის მზადყოფნის დიდი ტონუსი აშკარად იგრძნობოდა სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრის პავლე ლაზარენკოს სამუშაო შეხვედრაზე. ორივე მხარის მთელი რიგი მინისტრების მონაწილეობით გამართულ ამ სხდომაზე დელეგაციათა წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია იმ დარგებში საქმის მდგომარეობისა და ძირითადი პროგრამების თაობაზე, რომლებიც შევიდა, ან შეიძლება შევიდეს სამთავრობათშორისო შეთანხმებებში.

ჯერ კიდევ იმ ისტორიულ მომენტამდე, როცა დაიწყო სსრ კავშირის დაშლა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნა, უკრაინა აწვდიდა საქართველოს საჭირო რაოდენობის მოწყობილობას ელექტროსადგურებისა და სხვა ენერგეტიკული ნაგებობებისათვის. უკრაინის მხარემ გაიხსენა ეს და წამოაყენა წინადადება, რომ განახლდეს თანამშრომლობა ამ სფეროში. საქმე ეხება მონაწილეობას ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში, ელექტროტექნიკური მოწყობილობის მოწოდებას და სხვ. ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, რომ სასურველია, უკრაინელი ექსპერტები ჩამოვიდნენ საქართველოში ენერგეტიკის სფეროში შექმნილი ვითარების შესწავლისა და ერთობლივ გადაწყვეტილებათა მიღების მიზნით. მით უმეტეს, რომ საქართველომ უნდა განვლოს ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზაციის პროცესი, უკრაინელ სპეციალისტთა მონაწილეობას ელექტროსადგურების რეაბილიტაციის საქმეში უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია. მათ

იხ. მე-2 გვ.

პოზიცია

## მაშინ, როცა თბილისელები ელირსნენ...

**საქართველოს კულტურის ფონდთან არსებულმა საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელმა" რედაქციას თხოვა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელზე დაწერილი ამ მიმართვის გამოქვეყნება, რომელიც საზოგადოების გამგეობის სხდომაზე მიიღეს.**

საქართველოში ყველამ ვიწვნიეთ და კარგად გვახსოვს თუ რა ზნეობრივი და ეკონომიკური სიდუხჭირე მოჰყვა ყოველგვარ უმართაობას. დღეს, როცა სიბნელეს ნათელი მოეფინა, როცა ნგრევას წერტილი დაესვა, დღითიდღე იკვეთება ჭეშმარიტება, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს შენებისათვის აუცილებელი პირობაა ქვეყნის სტაბილიზაცია, რაც საბედნიეროდ ჩვენში მოკლე დროში მოხდა. ქართველმა კაცმა დაიწყო აღმშენებლობა.

იხ. მე-7 გვ.

ინფორმაცია

### მოეხსნა დიპლომატიური იმუნიტეტი

საააგენტო „იბერიის" კორესპონდენტს სარწმუნო წყარომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობა, რომ 14 თებერვალს, გვიან ღამით, აშშ-ში საქართველოს საელჩომ ოფიციალური ნოტა გაუგზავნა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტს, რომელშიც ნათქვამია, რომ მიღებულია გადაწყვეტილება მოეხსნას დიპლომატიური იმუნიტეტი ქართველ დიპლომატს, აშშ-ში საქართველოს საელჩოს თანამშრომელს გიორგი მახარაძეს.

გადაწყვეტილების მიღებას იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე წინ უძღოდა აქტიური კონსულტაციები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და აშშ სახელმწიფო დეპარტამენტს შორის. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და აშშ-ში საქართველოს საელჩო ცდილობდნენ მაქსიმალურად დაეცვათ საქართველოს მოქალაქე, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებულნი გახდნენ, მიეღოთ გადაწყვეტილება.

ამჟამად გიორგი მახარაძე არ არის დაკავებული. მას არც დააკავებენ, თუ იგი აშშ კანონმდებლობის თანახმად, თავს ცნობს დამნაშავედ. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მას სასამართლო ჟიურიმ სასამართლო პროცესის გარეშე მიუსაჯოს თავისუფლების აღკვეთა 7-დან 20 წლამდე, რის შემდეგაც, საქართველოს მხარე დაიწყებს მუშაობას საქართველოს მოქალაქის დასახსნელად და მის სამშობლოში დასაბრუნებლად.

### უშიშროების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებები

საააგენტო „იბერიის" კორესპონდენტს საქართველოს უშიშროების სამინისტროდან აცნობეს, რომ უშიშროების სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება 1997 წელს სამინისტროს მუშაობის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების თაობაზე.

უმთავრეს პრიორიტეტად აღიარებულ იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საქართველოს უშიშროების მინისტრმა შოთა კვირაიამ განაცხადა, რომ საქართველოს უშიშროების სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებს ამჟამად გააჩნიათ ყველა საშუალება, რათა შეასრულონ საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების ნებისმიერი ბრძანება და დაიცვან ქვეყნის ინტერესები – აღადგინონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

უშიშროების სამინისტროს კიდევ ერთ პრიორიტეტად აღიარებულ იქნა ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ.

უკანასკნელ საათს



ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი გუშინ ვიზიტად გამოემგზავრა ევროპის ცხრა ქვეყანაში. 20-21 მარტს იგი მოსკოვს ეწვევა, სადაც შეხვდება რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს და საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი პრიმაკოვს.

დუშანბე. გუშინ 22 საათისათვის ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ტაჯიკეთა შეიარაღებული რაზმის მიერ შეპყრობილი ტყვეების – გაეროს, წითელი ჯვრის წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების გათავისუფლების ოპერაცია, მიუხედავად იმისა, რომ ტაჯიკეთის მთავრობამ ძმები სადიროევების ყველა მოთხოვნა შეასრულა – გაუგზავნა ჯერ 6 მომხრე, მერე კი დანარჩენები და ავტომატური იარაღი. სანაცვლოდ გამტაცებლებმა დააბრუნეს მხოლოდ ოთხი ჟურნალისტი. ვარაუდობენ, რომ 11 მძევალს ძმები სადიროევები გამოუშვებენ მას შემდეგ, რაც სამშვიდობოს გავლენ.

რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივნის იასტრჟემბსკის თქმით, „პრეზიდენტი საქმის კურსშია".

ჩერქეზეთი. აქ გაიმართა იჩქერიის ჩეჩენთა რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების მეორე ტური. პირველი ტურის დროს, რომელიც 27 იანვარს მოეწყო, 64 დეპუტატთაგან მოხერხდა მხოლოდ ოთხის არჩევა.

საქართველოს რესპუბლიკა
№38. კვირა, 16 თებერვალი, 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი ქვეყნის დიდი ხნისა და კეთილი ურთიერთობის ისტორიაში ახალი, შინაარსიანი ფურცელი ჩაიწერა



**საქართველოსა და უკრაინის დელეგაციების მოლაპარაკების დროს.**
სერგო ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხელეწიფებათ, აგრეთვე, მონაწილეობა ნავთობის, გაზის მოპოვებაში, ენერგეტიკის დარგთან უშუალოდ დამოკიდებული საბადოების დამუშავებაში. სახელმწიფო მინისტრმა გამოთქვა წინადადება მოინიშნოს ამ სამუშაოთა დაწყების კონკრეტული ვადები, რასაც დაუყოვნებლივ გამოეხმაურა პავლე ლაზარენკო.

მეორე მნიშვნელოვანი პროგრამა, რომლის განხორციელებამაც უნდა გაააქტიუროს ორი ქვეყნის თანამშრომლობა, არის უკრაინასა და საქართველოს შორის თანამგზავრის პირდაპირი კავშირის დამყარება. ინფორმაციის ცოცხალი და ოპერატიული გაცვლის გარეშე თანამშრომლობა, მთლიანად, შეიძლება ზოგიერთ სირთულეს წააწყდეს.

უკრაინა ძალზე დაინტერესებულია, რომ მიიღოს კასპიის ნავთობი საქართველოს ტერიტორიის გავლით. უკრაინა მზად არის დააბანდოს თავისი წილი სახსრები ბაქო-სუფსის ნავთობსადენის რეკონსტრუქციაში, ანუ, გაიღოს მისი მთლიანი ღირებულების — 300 მილიონი დოლარის გარკვეული ნაწილი.

ამას გარდა, უკრაინელმა კოლეგებმა წამოაყენეს წინადადება გამოგზავნონ ნავთობსადენისათვის 500-მილიმეტრიანი მილები. ისინი მზად არიან, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღონ ნავთობსადენის აღდგენისათვის გამოცხადებულ ტენდერში.

საქართველოსა და უკრაინის მთავრობებს ურთიერთხელსაყრელად მიაჩნიათ დიდი რაოდენობის კვების პროდუქტების მიწოდება. ესენია ზეთი და კარაქი, შაქარი, სპირტი, მარილი, საკონდიტრო ნაწარმი. მასპინძლებმა წინადადებით მიმართეს საქართველოს მხარეს გახსნან თავიანთი სავაჭრო წარმომადგენლობა თბილისში, რასაც დადებითი პასუხი მოჰყვა. ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის მინისტრმა კოტე ზალდასტანიშვილმა აღნიშნა, თუ რაოდენ მიზანშეწონილია ასეთი თანამშრომლობა გრძელვადიან საფუძველზე. იგივე შეიძლება ითქვას მეტალურგიული მრეწველობის სფეროში თანამშრომლობაზეც.

საქმის დამაიმედებელი და კონსტრუქციული განხილვა თანდათანობით მიუახლოვდა სარკინიგზო ბორნის მშენებლობას. ამ ბორანმა ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს ფოთი და ოდესა და საქართველო-უკრაინის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა უმაღლეს დონეზე დააყენოს. „ბორნის მშენებლობას ერთბაშად და საფუძვლიანად უნდა მოვკიდოთ ხელი, ეს 1997 წლის მთავარი საკითხია", — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა პავლე ლაზარენკომ. „რადგან საქართველოსა და უკრაინაში სარკინი-

(დასაწყისი
იხ. პირველ გვერდზე)

გზო ლიანდაგების სიგანე ერთნაირია, პრობლემა არ წარმოიქმნება, — განმარტა სხდომის შესვენების დროს საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსმა ვალერი გეგიძემ. ერთადერთი პრობლემაა ის, რომ ფოთში ავაშენოთ სპეციალური ნაგებობა ნაპირიდან ბორანზე ვაგონებისა და ცისტერნების გადატანისათვის. მაგრამ ამის გაკეთება სწრაფად შეიძლება, მთავარია დაფინანსება". სახსრები, როგორც მან თქვა, შეიძლება გამოიყენონ საერთაშორისო ორგანიზაციათა კრედიტებიდან. ბორანმა — საზღვაო ტვირთზიდვის ამ საიმედო საშუალებამ — საქართველოსა და უკრაინას შორის საქონელბრუნვა შეიძლება ძალზე ინტენსიური გახადოს უმოკლეს ვადაში და იგი წელიწადში 450 მილიონ დოლარს გაუტოლდეს, შემდეგ კი უფრო გაიზარდოს კიდეც.

კიევში გამართულ მოლაპარაკებების შედეგად დაიდო ოფიციალური შეთანხმებანი. მხარეებმა ხაზი გაუსვეს პრეზიდენტების ედუარდ შევარდნაძისა და ლეონიდ კუჩმას დიდ ღვაწლს საეტაპო მნიშვნელობის მორიგებათა მიღწევის საქმეში, რომლებიც ახალ, შინაარსიან ფურცელს ჩაწერენ ორი ქვეყნის დიდი ხნისა და კეთილი ურთიერთობის ისტორიაში.

* * *

უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტების პირისპირ საუბრის შემდეგ, რომელიც ვიზიტის მეორე დღეს გაიმართა, ლეონიდ კუჩმამ და ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერეს დეკლარაციას უკრაინასა და საქართველოს შორის პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავების შესახებ. შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრებმა გენადი უდოვენკომ და ირაკლი მენაღარიშვილმა ხელი მოაწერეს საკონსულო კონვენციას უკრაინასა და საქართველოს შორის.

მხარეებმა ხელი მოაწერეს აგრეთვე მთელ რიგ მნიშვნელოვან სამთავრობათშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. ეს არის უკრაინისა და საქართველოს ხელშეკრულება სასჯელის შემდგომი მოხდისათვის თავისუფლებისაღკვეთამისჯილი პირების გადაცემის შესახებ; კონვენცია უკრაინისა და საქართველოს მთავრობებს შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და შემოსავლისა და ქონების გადასახადების საბეგარო არიდების აღკვეთის შესახებ; შეთანხმება უკრაინის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; შეთანხმება უკრაინის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საბაჟო საქმეებში თანამშრომლობის თაობაზე; შეთანხმება უკრაინის სტატისტიკის სამინისტროსა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის სტატისტიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ; უკრაინის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა ხელი მოაწერეს ოქმს უკრაინისა და საქართველოს სასაზღვრო ჯარებისათვის კადრების მომზადებისა და სწავლების საქმეში თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

დოკუმენტების ხელმოწერის ცერემონიის დასრულების შემდეგ გაიმართა პრეზიდენტების ლეონიდ კუჩმასა და ედუარდ შევარდნაძის პრესკონფერენცია, რომელმაც ჟურნალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

* * *

„მარიინის" სასახლიდან საქართველოს პრეზიდენტის გაცილების ოფიციალური ცერემონიით დასრულდა უკრაინაში ედუარდ შევარდნაძის, თამამად შეიძლება ითქვას, უაღრესად წარმატებული და ნაყოფიერი ვიზიტის ოფიციალური ნაწილი.

საქართველოს პრეზიდენტმა მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში ინტერვიუ მისცა უკრაინის ტელევიზიასა და უკრაინაში აკრედიტებულ ტელეკომპანიებს, რის შემდეგაც, თანმხლებ პირებთან ერთად უკრაინის პატონის სახელობის ელექტროშედუღების სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებაში გაემგზავრა.

უდიდესი ტრადიციების მქონე მსოფლიო მასშტაბის სამეცნიერო საწარმოო ცენტრში, რომელიც არსებობის ექვს ათეულ წელზე მეტს ითვლის, დღესაც აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო თუ პრაქტიკული საქმიანობა. თუმცა, როგორც მისმა ხელმძღვანელმა, გამოჩენილმა მეცნიერმა ა. პატონმა განაცხადა საქართველოს პრეზიდენტთან საუბარში, ყველა სიმძლავრე სრული დატვირთვით ველარ მუშაობს, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დარღვეული კავშირებია, რომელთა აღდგენითაც საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობა დაინტერესებულია ახლა უკვე თანამეგობრობის ფარგლებში. გაერთიანების ხელმძღვანელმა სტუმარს შესთავაზა თანამშრომლობის კონკრეტული წინადადებები, რომელთა განხორციელება, როგორც მან განაცხადა, ორმხრივად ხელსაყრელი და მომგებიანი იქნება. მან მხარდაჭერა სთხოვა საქართველოს პრეზიდენტს სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შორის ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული საქმიანი კონტაქტების, მეცნიერთა ურთიერთგაცვლისა და სხვა ღონისძიებების აღდგენასა და განმტკიცებაში. ა. პატონმა მადლობა გადაუხადა ედუარდ შევარდნაძეს გაერთიანებაში სტუმრობისა და მისი საქმიანობისადმი გამოჩენილი ინტერესისათვის.

ედუარდ შევარდნაძემ დაათვალიერა სამეცნიერო გაერთიანების საგამოფენო ცენტრი.

* * *

უკრაინის დედაქალაქში, ტოლსტოის ქუჩაზე, სადაც ახლა სახალხო მედიცინის უკრაინის ასოციაციის ინსტიტუტი მდებარეობს, 1918-1919 წლებში მუშაობდა საქართველოს პირველი დიპლომატიური მისია უკრაინაში. 14 თებერვალს ამ შენობაზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მემორიალური დაფა, რომელიც ამიერიდან ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველ ისტორიულ ფაქტს შეახსენებს გამვლელთ.

დაფას საბურველი ჩამოხსნა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ცერემონიის მონაწილეთ, რომელთა შორის მრავალი რიგითი კიეველი იყო, შეახსენა ორი ხალხის ისტორიული კავშირის ამსახველი ემოციური დეტალები და ის ადამიანები, რომლებიც მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის სათავეებთან იდგნენ. — ჩვენ დღეს წილად გვხვდა პატივი, შევეხოთ ცოცხალ ისტორიას, რომელიც ნათელი გამოხატულებაა ჩვენი კავშირის ისტორიული პერიპეტიებისა, მისი აღმავლობისა და დაცემისა, — განაცხადა საგარეო უწყების ხელმძღვანელმა და აღნიშნა, რომ დიპლომატიურ მისიათა ეს მრავლისმეტყველი ისტორია განაპირობებს მათ შორის დღეს არსებული უაღრესად კეთილმოსურნე და ეგრეთ წოდებული „საოქმო ჩარჩოებისათვის" უჩვეულოდ თბილ ურთიერთობას.

მემორიალური დაფის კურთხევის რიტუალის შემდეგ, რომელიც შეასრულა კიევის საპატრიარქოს მომღვარმა, საქართველოს პრეზიდენტი თანმხლებ პირებთან ერთად კიევის აეროპორტ „ბორისპოლში" გაემგზავრა.

**მაია ალუდაური,**
**ნოდარ ბროლაძე,**
საქინფორმის სპეც. კორ.
კიევი — თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**როგორც ვიუწყებოდით, უკრაინაში ვიზიტის პირველ დღეს, საქართველოს პრეზიდენტის პატივსაცემად უკრაინის პრეზიდენტმა ოფიციალური სადილი გამართა, სადაც ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.**

# უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას გამოსვლა

ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ქალბატონებო და ბატონებო!

ჩვენი დღევანდელი შეხვედრა იმის საუკეთესო დადასტურებაა, რომ უკრაინისა და საქართველოს ტრადიციულად მეგობრული, გულითადი ურთიერთობა მტკიცდება და ვითარდება.

თქვენთან ამბობენ: წინაპრები რგავენ ხეებს, ახალგაზრდები კი მათი ჩრდილით ტკბებიანო. და ჩვენც, საღღეისოდ არსებული ყველა სირთულის მიუხედავად, გულმოდგინედ ვახორციელებთ ჭეშმარიტად დემოკრატიული, აყვავებული სახელმწიფოების მშენებლობის კურსს მომავალ თაობათა საკეთილდღეოდ.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო წლებში გაფართოვდა არა მარტო უკრაინა-საქართველოს ორმხრივი პარტნიორობის სპექტრი, არამედ გაღრმავდა კიდეც ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთმოქმედება საერთაშორისო ორგანიზაციათა ფარგლებში. ვითარდება ჩვენი ურთიერთობის სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა, იდგმება აქტიური ნაბიჯები მიღწეულ მორიგებათა პრაქტიკული განხორციელების გზაზე.

ჩვენი პარტნიორობის კონკრეტული შინაარსით შევსების მკაფიო მაგალითია ოდესისა და ფოთის ნავსადგურებს შორის საბორნე გადასასვლელის გახსნა, რომელიც გახდა შავი ზღვის ნაპირების — უკრაინისა და საქართველოს სანაპიროების დამაკავშირებელი თავისებური ხიდი. იმედი გვაქვს, რომ მეგობრობის ახალი მაგისტრალები გახდება ტრანსკავკასიის სატრანსპორტო მარშრუტები.

უკრაინა, მართლაც, უფრო უახლოვდება კავკასიას. და არა მხოლოდ დიდ სატრანსპორტო პროექტებში მონაწილეობის წყალობით. ამ მნიშვნელოვან რეგიონში მიმდინარე პროცესებს ხომ უშუალო დამოკიდებულება აქვს ჩვენს ქვეყანასთანაც. გვსურს, რომ მშვიდობიანი და აყვავებული ვიხილოთ კავკასიის — დედამიწის ამ განუმეორებელი სილამაზის კუთხის სახელმწიფოები. და ამიტომაც დავუჭირეთ მხარი საქართველოს პრეზიდენტის საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივას — „მშვიდობიანი კავკასიისათვის“.

უკრაინა საქმით, და არა სიტყვით ესწრაფვის მონაწილეობას იმ რთული პრობლემების მშვიდობიან პოლიტიკურ მოწესრიგებაში, რომლებსაც გადააწყდნენ რეგიონის ქვეყნები. მხარს ვუჭერთ რა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, მზად ვართ ვიკისროთ შუამავლის როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში.

შავ ზღვას, უეჭველად, შეუძლია და უნდა გახდეს კიდეც მშვიდობის ზღვა, შავიზღვისპირეთის სახელმწიფოები კი — კეთილ მეგობრებად და საიმედო პარტნიორებად. ამასთან დაკავშირებით მოხარული ვართ უკრაინისა და საქართველოს აქტიური მონაწილეობით შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში.

ჩვენი ქვეყნები ერთად მიიწევენ დემოკრატიულ სახელმწიფოთა ცივილიზებული გაერთიანების გზაზე, რომლისგანაც თქვენც და ჩვენც ჩამოშორებული ვიყავით საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიის არსებობის მრავალი ათწლეულის განმავლობაში. და ამ გრძელ და რთულ გზაზე აუცილებელია ერთმანეთის მხარდაჭერა. ჩემი ღრმა რწმენით, უკრაინისა და საქართველოს სრულუფლებიანი შესვლა საერთოევროპულ სახლში ხელს შეუწყობს კონტინენტზე უშიშროებისა და სტაბილურობის განმტკიცებას.

საქართველოს პრეზიდენტთან დღევანდელი საუბრის დროს განვიხილეთ ორმხრივი თანამშრომლობის, იმ საერთაშორისო პრობლემათა ფართო წრის საკითხები, რომელთა უმრავლესობის მიხედვითაც ჩვენი პოზიციები პრაქტიკულად მთლიანად ემთხვევა.

დარწმუნებული ვარ, ღრმად პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ, რომ ურთიერთგაგებისა და კონსტრუქტივიზმის სულისკვეთება, რომლითაც გამსჭვალული იყო ამჟამინდელი მოლაპარაკებანი, დამახასიათებელი იქნება უკრიანა-საქართველოს დიალოგისთვის ყველა დონეზე.

იმედი მაქვს აგრეთვე, რომ უკრაინა-საქართველოს კავშირურთიერთობის დინამიზაციას მნიშვნელოვან იმპულსს შემატებს დეკლარაცია უკრაინასა და საქართველოს შორის პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავების შესახებ, მთელი რიგი სხვა ორმხრივი დოკუმენტები, რომლებსაც ხელს მოაწერენ ხვალ.

დასასრულ, მსურს, რომ გავიხსენო ქართული ხალხური სიბრძნე, რომელიც ღაღადებს: კეთილი მეგობარი ღვიძლი ძმააო. დარწმუნებული ვარ, რომ ნდობა და ერთმანეთის მხარდაჭერა განმსაზღვრელი იქნება საქართველო-უკრაინის ურთიერთობაში დღეს და მომავლისთვისაც.

ნება მიბოძეთ, რომ წარმოვთქვა სადღეგრძელო:

— გაუმარჯოს უკრაინისა და საქართველოს მტკიცე მეგობრობას;

— გაუმარჯოს უკრაინა-საქართველოს თანამშრომლობას ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ;

— გაგიმარჯოთ თქვენ, ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო;

— გაუმარჯოს ყველა აქ მყოფს!

# საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,
ქალბატონებო და ბატონებო!

მადლობას მოგახსენებთ საქართველოზე ნათქვამი სიტყვებისა და იმისთვის, რომ ასე აღიქვამთ ჩვენი ქვეყნების მიერ გამოვლილ გზას. მინდა მთელი საქართველოს დელეგაციის სახელით გამოვთქვა მადლიერება გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობის, თანამშრომლობისა და პარტნიორობისთვის, რომელსაც საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ამჟამინდელი და მომავალი ხელმძღვანელები ნიადაგ უნდა ეწაფებოდნენ ჩვენი დიდი წინაპრების — ტარას შევჩენკოს, აკაკი წერეთლის, ლესია უკრაინკას, დავით გურამიშვილის, იმ ქართველი ოსტატების მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას, რომლებიც მონაწილეობდნენ ხუროთმოძღვრების სწორუპოვარი ქმნილების — კიევის ლავრის მოხატვაში. სწორედ ამ მემკვიდრეობას დაეფუძნა ჩვენი ურთიერთობა მაშინ, როცა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პირველად ვეწვიეთ სახელმწიფო ვიზიტებად ერთმანეთს და ხელი მოვაწერეთ მთელ რიგ დოკუმენტებს, მათ შორის მთავარს — მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას. უკრაინა ერთადერთი სახელმწიფოა, რომელთანაც საქართველომ დადო ასეთი ხელშეკრულება. ახლა დადგა დრო, გავაღრმაოთ ჩვენი კავშირურთიერთობა და ამით ავამოქმედოთ უდიდესი პოტენციალი, რომელიც ემყარება ჩვენი ისტორიული სვე-ბედის ერთიანობას, ჩვენი მომავლის საერთო ხედვას ერთიანი ევროპის შემადგენლობაში, დამოუკიდებელი განვითარებისა და თანასწორუფლებიანი ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობის პრინციპების ერთგულებას.

როცა ჩვენს პრიორიტეტებზე ვლაპარაკობდი, შემთხვევით როდი ვახსენე ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში. ჩვენი საუბრის მნიშვნელოვანი ნაწილი, ორმხრივი ურთიერთობის გარდა, სწორედ ამ საკითხსაც დავუთმეთ. ამ მიმართულებით ჩვენმა ქვეყნებმა მნიშვნელოვანი გზა განვლეს — ჩვენ იურიდიულად გავაფორმეთ ურთიერთობა ევროკავშირთან, მივიღეთ სპეციალური სტუმრის სტატუსი ევროპის საბჭოში. უკრაინის მონაწილეობა ევროპის კავშირის ტრასეკა-ს პროექტში არის ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამ წამოწყების წარმატებას. უდიდესი სულიერი, ინტელექტუალური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამრეწველო, სანედლეულო პოტენციალი უკრაინას შესაძლებლობას აძლევს ახლო მომავალში გახდეს არა მარტო ევროპული, არამედ აგრეთვე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. მის სრულფასოვან მონაწილეობას პროექტებში, რომლებმაც სახე უნდა უცვალონ მთელ რეგიონებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ფოთი-ოდესის საბორნე გადასასვლელის გახსნა, რომელიც საუკუნის პროექტის — ტრასეკა-ს შემადგენელი ნაწილია, საქართველოში აღიქვეს როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა. მიმდინარეობს მუშაობა ბათუმსა და შავი ზღვის სხვა ნავსადგურებს შორის საბორნე მიმოსვლის ასამოქმედებლად. იმედი გვაქვს, რომ უკრაინა სულ მალე შეუერთდება ამ პროექტის კიდევ ერთ რგოლს — უზბეკეთს, თურქმენეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სარაპსში ხელმოწერილ ოთხმხრივ შეთანხმებას, რომელიც ტრანზიტის მაქსიმალურ ხელშეწყობას ითვალისწინებს. ბულგარეთსა და რუმინეთთან ამიერკავკასიის ნავსადგურების დამაკავშირებელ მარშრუტებთან ერთად ეს შექმნის განტოტვილ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ქსელს, რომელიც უკვე არსებულთან ერთად, უმოკლესი გზით დააკავშირებს კონტინენტებს.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ უკრაინა განუხრელად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, რომელიც არაერთგზის გამოგიხატავთ როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა ფარგლებში. ვფიქრობთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და ჩვენი რეგიონის როლის გაძლიერების პირობებში, შორს აღარ არის ის დრო, როდესაც მოხერხდება აფხაზეთის და, განსაკუთრებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება.

ჩვენ დიდი ყურადღება დავუთმეთ თანამშრომლობას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში. ჩვენ ღია გვაქვს კარი ყველაზე მჭიდრო ინტეგრაციისთვის თანამეგობრობის ქვეყნებთან, ჩვენ გვწადია ასეთი ინტეგრაცია. მზად ვართ აქტიურად ვითანამშრომლოთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში, რათა თანამეგობრობაში მიმდინარე პროცესებმა შეუწყოს ხელი მის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას, ურთიერთხელსაყრელი, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას და ამ საფუძველზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ეკონომიკური აღორძინების პირობების შექმნას. მაგრამ ჩვენ ისიც ვთქვით, რომ ვერ დავეთანხმებით იმათ, ვინც ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს მიიჩნევს მორიგი გლობალური დაპირისპირების, ინტერესების შეჯახების ასპარეზად. ძალზე არაშორსმჭვრეტელნი არიან პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთი საარსებო ინტერესების შელახვად აღიქვამენ ყოველ დიდმასშტაბიან ალტერნატიულ პროექტს, რომელიც მოიცავს ცენტრალური აზიის, ამიერკავკასიის ამა თუ იმ სახელმწიფოს ან უკრაინას. პარალელური სატრანსპორტო-საკომუნიკაციო მაგისტრალების გაყვანა სტაბილურობასა და აყვავებას მოუტანს თანამეგობრობის ყველა სახელმწიფოს, მათ შორის რუსეთსაც, რომელიც, დარწმუნებული ვართ, დიდად არის დაინტერესებული იმით, რომ მეგობარი, სტაბილური და სანდო მეზობლები ჰყავდეს თავის დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებზე. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ ეს სივრცე ვაქციოთ ყველა სახელმწიფოს პოლიტიკური პარტნიორობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის რეგიონად, ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე გადაჭიმული ერთიანი მსოფლმხედველობითი სივრცის შემადგენელ ნაწილად.

რამდენიმე წელიწადმა, რაც ჩვენ დამოუკიდებელი ცხოვრებით ვცხოვრობთ, გვიჩვენა, რომ არავის არ ამოხდება სული გაჭირვებისა და შიმშილისგან, თუ „გარედან“ არ ამოხადეს. არც ერთი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ შეწყვეტს არსებობას მაშინაც კი, თუ მოულოდნელად გაუწყვეტენ სამეურნეო კავშირურთიერთობას. იმ წლების გაჭირვებამ მრავალი მწარე გაკვეთილი მოგვცა, მაგრამ ზოგი რამ გვასწავლა კიდეც და გვასწავლა მათგან უმთავრესი — დამოუკიდებლად არსებობა და განვითარება. დღეს ჩვენ შეგვიძლია უერთმანეთოდ ცხოვრება და ყოველთვის, როცა ვლაპარაკობთ ინტეგრაციაზე, როგორც დროის მოთხოვნაზე, ჩვენ ვგულისხმობთ ინტეგრაციას, რომელიც ემყარება არა რაღაც მოგონილ გეოპოლიტიკურ და ბლოკურ პრინციპებს, არამედ — მხოლოდ და მხოლოდ რაციონალურ მიზანშეწონილებას, დემოკრატიისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების ერთგულებას.

სწორედ ამ პრინციპებიდან გამომდინარე მიგვაჩნდა და კვლავაც მიგვაჩნია უკრაინასთან პარტნიორობა სტრატეგიულად და ბედის განმსაზღვრელად არა მარტო ჩვენი სახელმწიფოებისათვის, არამედ იმ ვრცელი სივრცისათვისაც, რომელიც თქვენი ქვეყნის დასავლეთით და ჩემი ქვეყნის აღმოსავლეთით არის გადაჭიმული. ჩვენ ვართ შემსწრენი იმისა, რომ რუსეთი, უკრაინა, სხვა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები იწყებენ მნიშვნელოვანი როლის შესრულებას ევროპის კავშირის გრძელვადიან გეგმებში. ამას მოწმობს რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს მიერ ხელმოწერილი შეთანხმება ევროპის კავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. უკრაინისა და საქართველოს საუკეთესო ურთიერთობა, რომელიც არ ლახავს არავის ინტერესებს, მთლიანად შეესაბამება ევროპის კავშირის აღმოსავლეთით გაფართოების ამოცანას, და ამას ჩვენ მივიჩნევთ ერთიან ევროპულ სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა სისტემასთან პოსტტოტალიტარული სივრცის თანამიმდევრულ, უკონფრონტაციო შერწყმად.

ძვირფასო მეგობრებო, ბედნიერნი ვართ, რომ ვიმყოფებით იმ ხალხის წრეში, ვინც ახლობელია ჩვენთვის სულისკვეთებით და მისწრაფებით, ახლო წარსულითა თუ იმედიანი მომავლით. დღეს მე და თქვენ, გადავდგით კიდევ ერთი ნაბიჯი ასეთი მომავლის — სტაბილური და სევსეიანი მომავლის გზაზე. ნება მიბოძეთ, ამ სუფრაზე ყველა აქ მყოფთან ერთად, დავლოცო ჩვენი ძვირფასი მასპინძელი, ჩემი მეგობარი ლეონიდ კუჩმა, უკრაინელი ხალხი, ვუსურვო მას ბედნიერება და აყვავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გეოპოლიტიკა

# საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის ფაქტორი მშვიდობიანი კავკასიისათვის

თანამედროვე ევრაზიულ გეოპოლიტიკურ სივრცეში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი მოხერხებული მდებარეობის, ბუნებრივი სიმდიდრეებისა და კომუნიკაციათა განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე კავკასიის რეგიონი. აქ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ გაიმართება საუბარი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის დროს აზერბაიჯანში, რომელიც 18 თებერვალს დაიწყება.

### კავკასიის პრობლემები: მიზეზები და ბარიერები

კავკასიის პრობლემები მრავალი მიზეზითაა განპირობებული. ერთი მხრივ — ისინი „ადგილობრივი წარმოშობისაა", რეგიონის პოლიეთნიკურობა და პოლიკონფესიულობა, სასაზღვრო-ტერიტორიული დავები, სეპარატიზმი შინაგანად ასუსტებს სტაბილურობის საძირკველს. მეორე მხრივ, — რეგიონი მუდმივად იმყოფება მეზობელი, შედარებით ძლიერი სახელმწიფოების დაკვირვების სფეროში და მათ ერთგვარ გაელენას განიცდის.

თავისთავად ამ ფაქტორს, მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, გარკვეული დადებითი ხასიათიც აქვს, მაგრამ კავკასიის სინამდვილეში მისი გამოვლინება ხშირად უარყოფითი შედეგებსაც იძლევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზოგიერთი სახელმწიფო ოფიციალურად საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპების თითქოსდა ერთგულ დამცველად გამოდის, სინამდვილეში კი საკუთარი იმპერიული საგარეო-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, წინასწარ განზრახულად (აშკარად თუ ფარულად) ხელს უწყობს მაღესტაბილიზებელ პროცესებს, მოქმედებს მიკერძოებულად, „გათიშე და იბატონეს" პრინციპით. ამავე დროს იგი ხშირად გვევლინება ოფიციალურ შუამავლად, კეთილი სამსახურის გამწევ, კონფლიქტებში მშვიდობის დამამყარებელ სუბიექტად. ცხადია, რომ ასეთი ორმაგი დიპლომატიური სტანდარტებით მოქმედება კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას.

კავკასიის პრობლემების გადაჭრაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით, გაეროსა და ევროსტრუქტურების როლს, რადგან მათი მოქმედების დროს მეტ-ნაკლებად გამორიცხულია (ან შესუსტებულია) ცალკეულ სახელმწიფოთა ვიწრო პოლიტიკური ინტერესების რეალიზების ტენდენციები. პრობლემებისადმი მათი ობიექტური მიდგომის შედეგად ბევრი რამ დადებითი უკვე მიღწეულია. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში ამ ორგანიზაციების ძალისხმევის პერსპექტიული გაძლიერების კვალობაზე შესაბამისად მოიმატებს კონფლიქტების მოწესრიგების შანსიც.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა პერიოდისაგან, მათში სულ უფრო მტკიცდება დემოკრატიული ტენდენცია და პრობლემათა ჩიხიდან გამოსასვლელად უპირატესობა ენიჭება არა ცალმხრივი ამბიციების დაკმაყოფილებას, არამედ გონივრული კომპრომისების პოლიტიკას. გარდა ამისა, სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში დომინირებს საერთო-რეგიონული ინტეგრაციის ტენდენციებიც. სწორედ ასეთ დიპლომატიას აქვს წარმატებული რეალიზების მეტი შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, კავკასიის სტაბილიზაციის საკითხში განმსაზღვრელ, შედეგიან და მაღალი „მარგი ქმედების კოეფიციენტის" მქონე ფაქტორს თვით ამ რეგიონის სახელმწიფოების — აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კეთილი ნება წარმოადგენს — გადაწყვიტონ ყველა პრობლემა არა იმდენად ისეთი „მოწვეული სპეციალისტებით", რომელთა ორსახოვნება მითოლოგიურ იანუსს მოგვაგონებს, არამედ შედარებით ნეიტრალურ და საერთაშორისო სამართლის პრინციპების ნამდვილად ერთგულ სახელმწიფოთა მონაწილეობით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ეფექტის მოტანა შეუძლია პირდაპირ, უშუალო მოლაპარაკებებს.

დღევანდელი კავკასიის (უფრო ზუსტად, სამხრეთ კავკასიის) ქვეყნების საგარეო ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად უკვე გამოკვეთილია სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაცია, გარკვეულია პრიორიტეტები, არსებობს რეგიონის სუბიექტებს შორის დაპირისპირების გამოვლინებაც. თუმცა ეს უკანასკნელი მომენტი, ფაქტობრივად, საქართველოს არ ეხება, იგი ტრადიციული სამშვიდობო პოლიტიკის ერთგული რჩება, პატივს სცემს მეზობელთა ინტერესებს, ცდილობს ერთმანეთთან დაძაბულ დამოკიდებულებაში მყოფ სომხეთთან და აზერბაიჯანთან ნორმალური კავშირების გაღრმავებას. ცხადია, ეს არცთუ ისე იოლი მისაღწევია, მით უმეტეს, როცა სამ მკვიდრ მეზობელთაგან ერთ-ერთს — სომხეთს ხალხთა თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების მიმართ საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებული თვალსაზრისი გააჩნია. მართალია, ოფიციალურად იგი ორივეს აღიარებს, მაგრამ პრიორიტეტს მაინც პირველს ანიჭებს. აქედან გამომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, ერევანი ნებით, თუ უნებლიედ, კავკასიაში სეპარატისტული მოძრაობის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენს (ცხადია, პრობლემისადმი ასეთი მიდგომა სომხეთის სუვერენული უფლებაა).

როგორც ჩანს, საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპებისადმი საქართველოსა და აზერბაიჯანის იდენტური დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს მათს დაახლოებას თანამედროვე ეტაპზე, თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ მათი, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ურთიერთობები, არც ახლო წარსულში ყოფილა რთული ხასიათისა.

### თბილისი – ბაქო: თანამშრომლობის ფესვები

საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობის განხილვის დროს აუცილებელია კავკასიის პოლიტიკური მოვლენების ისტორიული ფონის გათვალისწინება, რადგან რეგიონის ბევრი დღევანდელი პრობლემის გენეზისი წარსულში დაიწყო. განსაკუთრებით ეს ეხება 1918-1920 წლების კონფლიქტურ მოვლენებს და საქართველოს როლს მათი გადაჭრის მცდელობაში (იმდროინდელი გეოპოლიტიკური სიტუაცია ხომ საკმაოდ მოგვაგონებს 90-იანი წლების ვითარებას).

საქართველოსა და აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკებს შორის დადებული ხელშეკრულებები პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, კონფლიქტების გადაჭრის საკითხში ორივე მხარის თვალსაზრისთა მსგავსება (თბილისში რეგიონის მასშტაბით ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებზე 1919 და 1920 წლის მარტ-აპრილში), კოლექტიური უშიშროების პაქტზე ხელმოწერა (1919 წლის 16 ივნისს), შუამავლის სტატუსით საქართველოს მონაწილეობა ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტაში (1920 წლის აპრილში) და სხვა ფაქტების არსებობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იმ პერიოდში ორი სახელმწიფოს ურთიერთობის პრინციპები გამოიხატა კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში, ურთიერთპატივისცემასა და ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანი მეთოდებით გადაჭრაში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იყო გარკვეული დაპირისპირების მომენტებიც, მაგრამ მათი მიზეზი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ და, ამდენად, ეს არ ნიშნავდა ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის რაიმე უთანხმოების არსებობას.

### მშვიდობიანი კავკასიის დეკლარაცია

ორი მეზობლის ურთიერთობების ახალი ეტაპი დაიწყო 90-იანი წლებიდან, როცა საქართველო და აზერბაიჯანი კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ. მართალია, პირველ ხანებში მათი გართულებული საშინაო ვითარება ერთგვარ ჩრდილს აყენებდა უკვე დაწყებული ურთიერთკავშირების ეფექტიანობას, მაგრამ უკვე გამოიკვეთა მხარეების სტრატეგიული პარტნიორობის დიდი პერსპექტივა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა და დამაჯერებელი გახდა ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებად გამოცდილი და ავტორიტეტიანი ლიდერების ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის არჩევის შემდეგ.

ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება შეიძლება არც იყოს საჭირო, რადგან ისედაც ცნობილია, რომ ქვეყნების ლიდერთა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი და დონე ხშირად განსაზღვრავს თვით სახელმწიფოთა ურთიერთგანწყობასაც. მთავარი ისაა, რომ ალიევმა, როგორც მეგობარსა და კეთილ მეზობელს ეკადრება, უმალვე მხარი დაუჭირა შევარდნაძის სამშვიდობო ინიციატივას და უკვე ორივე პოლიტიკოსი დიპლომატიური ხელოვნებით, ხალხთა მეგობრობის ტრადიციებზე დაყრდნობით შეეცადა კონფლიქტებითა და ქაოსით მოცულ რეგიონში ერთობლივად გამოეძებნათ კავკასიის ხსნის გზა, აქ მცხოვრები ყველა ხალხისთვის მისაღები თანაცხოვრების უნივერსალური პრინციპები.

1996 წლის მარტში, თბილისში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ვიზიტის დროს ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი „კავკასიის რეგიონში მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის დეკლარაცია" წარმოადგენს ჩვენი დროის ერთ-ერთ უნიკალურ დოკუმენტს, რომელიც შემუშავებულია ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა და საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული ტრადიციების გათვალისწინებით. იგი გამოხატავს ახალ სიტუაციაში კავკასიის ხალხების ცივილიზაციის განვითარების ძირითად მიმართულებებს და, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მასში აისახა ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების სრული ურთიერთგაგება და ინტერესთა ერთობა.

დეკლარაციის დებულებები გაიზიარეს სომხეთმა და რუსეთმაც, მას მიესალმნენ სხვა ქვეყნებიც. მისი თითქმის ყველა პრინციპი შევიდა მოგვიანებით კისლოვოდსკში მიღებულ ოთხმხრივ დოკუმენტშიც. ამით კვლავ დადასტურდა საქართველოსა და აზერბაიჯანის რეგიონული პოლიტიკის ერთობლივი კურსის სისწორე.

### ფართო პერსპექტივა: „ევრაზიული დერეფანი" და სხვა

კავკასიის მნიშვნელობაზე, როგორც ევროპა-აზიის შემაერთებელ ხიდზე, ჯერ კიდევ 1920 წელს მიუთითებდა პარიზში გამომავალი ფრანგული გავლენიანი გაზეთი „ლე ტან" (დრო). აანალიზებდა რა რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას, გაზეთი ხაზს უსვამდა: „... საქართველოსა და აზერბაიჯანს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მსოფლიოში ძალთა წონასწორობისათვის. ისინი შავ და კასპიის ზღვებს შორის ქმნიან ევროპის აზიასთან შემაერთებელ ხიდს. ვაჭრობის თვალსაზრისით ეს უმოკლესი გზაა ხმელთაშუა ზღვის აუზიდან ცენტრალური აზიისაკენ... პოლიტიკური თვალსაზრისით კონტინენტებს შორის განლაგებულ ახალ სახელმწიფოებს შეუძლიათ წინ აღუდგნენ იმ ძალებს, რომლებიც მიისწრაფვიან დასავლური დემოკრატიის საბოტაჟისაკენ".

თუ იმ პერიოდში ევრაზიის ხიდის იდეა ვერ განხორციელდა, დღეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სხვა დაინტერესებული ქვეყნების ძალისხმევით მისი რეალიზება უკვე მიმდინარეობს. ორი მეზობლის სატრანსპორტო კომუნიკაციები ერთგულად ემსახურება „ევრაზიული დერეფნის" იდეის პრაქტიკაში გატარებასა და ხალხთა მომავალი კეთილდღეობის საძირკვლის აშენებას, რომელსაც, თავის მხრივ, პერსპექტივაში რთული პოლიტიკური სიტუაციის გამანეიტრალებლის როლის შესრულება შეუძლია.

საქართველოსადმი მეგობრული განწყობილების გამოვლენის კიდევ ერთი გამოხატულებაა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის ძალისხმევა ევროპაში კასპიის ნავთობის ექსპორტისათვის საჭირო ნავთობსადენის საქართველოს ტერიტორიაზე გატარების შესახებ, თავის მხრივ საქართველო ხელს უწყობს შავი ზღვის ნავსადგურებში აზერბაიჯანისათვის განკუთვნილი ტვირთების შეუფერხებლად მიღება-გადაგზავნას.

დღეისათვის უკვე შექმნილია ორი უშუალო მეზობლის პირდაპირი კავშირების უწყვეტმყოფი იურიდიული საფუძვლები. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ხელი მოეწერა მთავრობათაშორისო 30-ზე მეტ ხელშეკრულებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურის სფეროში.

მეზობლები ურთიერთგაგებისა და მხარდაჭერის პრინციპით მოქმედებენ საერთაშორისო არენაზეც — ევროპის ორგანიზაციებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ყოველივე ეს მიუთითებს, რომ მხარეთა სურვილი — მომავალმა თაობებმა კავკასია იხილონ არა დაპირისპირებისა და კონფლიქტების რეგიონად, არამედ ეკონომიკურად აყვავებულ მხარედ — აუცილებლად განხორციელდება. საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი აზერბაიჯანში, რომელიც 18 თებერვალს დაიწყება, ასეთი მომავლისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

**სიმონ ქილაძე.**

---

### მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავების პოზიცია

აზერბაიჯანი მუდამ მხარს უჭერდა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალ მეზობელ ქვეყნებთან, ისე, უწინარეს ყოვლისა, რუსეთთან ურთიერთობის გაფართოებასა და გაღრმავებას, განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველთან ემილ პაინთან შეხვედრაზე. მან აღნიშნა, რომ, მხარს უჭერს რა ედუარდ შევარდნაძის ინიციატივას „მშვიდობიანი კავკასიისათვის", შეეცდება ყველაფერი იღონოს სომხეთ-აზერბაიჯანის საკითხში კრიზისიდან გამოსვლისათვის.

როგორც პრეზიდენტმა თქვა, ბოლო ხანს გადაიდგა მთელი რიგი ნაბიჯები ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების გზაზე, რაც ხელსაყრელია ყველა ქვეყნისათვის. ემილ პაინმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ მისი ვიზიტი სიმბოლურად გამოხატავს პოლიტიკურ დონეზე რუსეთისა და აზერბაიჯანის კონტაქტების შემდგომ გაღრმავებას.

### ყოველწლიური მოგება – მილიონობით დოლარი

საქართველო ყოველწლიურად 8 მილიონ დოლარს მიიღებს თავის ტერიტორიაზე კასპიის „ადრეული" ნავთობის ტრანზიტისათვის. ასეთი პროგნოზი გამოთქვეს საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის ექსპერტებმა იმ ტარიფების საფუძველზე, რომლებიც გათვალისწინებულია „დასავლეთის მარშრუტით" კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებისათვის აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიასთან დადებული შეთანხმებით. შარშან 30 წლის ვადით დადებული შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს მხარე თავდაპირველ ეტაპზე ყოველი ბარელი ნავთობის გადატუმბვისათვის მიიღებს 0,17 დოლარს. რუსეთის მხარე, რომელიც თითქმის მთლიანად კისრულობს „ჩრდილოეთის პროექტის" რეალიზაციის ფინანსური ნაწილის უზრუნველყოფას, ყოველი ბარელი ნავთობის თავის ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის 2,7 დოლარს მიიღებს. საქართველოს უფლება აქვს 8,5 წლის შემდეგ დასვას საკითხი ნავთობის ტრანზიტის საფასურის გადასინჯვის შესახებ. ვარაუდობენ, რომ ამ დროის განმავლობაში ნავთობის კომპანიები აანაზღაურებენ „ადრეული" ნავთობის მოპოვებისა და ტრანსპორტირების პროექტის რეალიზაციაში დაბანდებულ სახსრებს.

### ტრანსფორმატორები საქართველოსათვის

ბაქოს მძლავრი ტრანსფორმატორების ქარხანამ საქართველოს ენერგეტიკოსთა შეკვეთით ვადამდე დაამზადა ძალური ტრანსფორმატორების დიდი პარტია. ისინი მაღალი ხარისხისაა და გასაგზავნად მზად არის. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამწყობთა ბრიგადამ, რომელსაც ქიაზიმ ნაგიევი მეთაურობს, და დაიწყო მოძრაობა „საქართველოსათვის — ვადამდე და ხარისხიანადაც".

საქინფორმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსეთის პრემიერი გამოცხადდა დასავლეთისათვის

რუსეთის პრემიერისა და სხვა თანამდებობის პირების მძინარე დათვებზე ნადირობამ ბრიტანელებში, რომლებიც ცნობილი არიან ცხოველების სიყვარულით, მეტი რომ არა ვთქვათ რა, გაოცება გამოიწვია. ვიქტორ ჩერნომირდინის „საგმირო" საქმეებს იუწყებოდა ყველა წამყვანი გაზეთი, თან, ჟურნალისტები რუსეთის პრემიერს ადარებდნენ თეოდორ რუზველტს, აშშ პრეზიდენტს, რომელმაც ტყეში არ ესროლა თოფი უმწეო დათვის ბელს. ბრიტანეთის გაზეთმა „გარდიანმა" სარედაქციო სტატია მიუძღვნა პრემიერის ნადირობას და იგი ნატოს გაფართოების პრობლემას დაუკავშირა. აი, მისი შინაარსი.

„ვინ დახოცა დათვები?" „მე", – თქვა ვიქტორ ჩერნომირდინმა, კაცმა, რომელიც დასავლეთს ფავორიტად მიაჩნია და სურს იხილოს ბორის ელცინის მემკვიდრედ. ჩერნომირდინი ამ რამდენიმე დღის წინათ ვაშინგტონში იყო, სადაც განიხილავდა ნატოს, მეცნიერული თანამშრომლობისა და კლინტონ-ელცინის მარტის შეხვედრის საკითხებს. ამ თემებში ბ-ნ ჩერნომირდინს დიდად არ გამოუჩენია თავი დინამიკურ ორატორად. სხვა საქმეა – დათვების ქლეტა. ინტერვიუში, რომელიც რუსეთის ტელევიზიით გადაიცა, ბ-ნმა ჩერნომირდინმა დიდი გზნებით ილაპარაკა. „მე მიყვარს ნადირობა, მიყვარს კი არა, ნადირობის გრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ", – განაცხადა მან და შუბლის ძარღვიც არ გატოკებია იმ არასპორტული პირობების შეხსენებაზე, რომლებიც ჟურნალმა „ოგონიოკმა" ამხილა (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", №23,1997 წ. 30 იანვარი, – რედ.). ეს დათვები – დედადათვი და ორი ბელი, მოხელეებმა მძინარეები ნახეს ბუნაგში. პრემიერი შევულმფრენით ჩაიყვანეს, დათვები გაალეიძეს და იქვე ჩახოცეს. „ის, რაც გაკეთდა, ნორმალურია", – თქვა მან.

დასავლეთის წრეებში თვითონ ბატონ ჩერნომირდინს უყურებენ როგორც თავისებურ რუსულ დათვს, რომელიც შესაძლოა უკვე აღარ არის კომუნისტური, მაგრამ მაინც უქმნის პოტენციურ საფრთხეს უახლოეს მეზობლებს. ამაში ხედავენ ნატოს გაფართოების გამართლებას. ჩვენი გაზეთი არ იზიარებს ასეთ მიდგომას. ამ შემთხვევაში იგი მოხვდა ძალიან კარგ კომპანიაში, რომელშიც შედის ჯორჯ კენანი, ცნობილი დიპლომატი, ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის სპეციალისტი.

„ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიაში ბატონი კენანი აღნიშნავს, რომ ნატოს გაფართოება გახდება „ამერიკის პოლიტიკის ყველაზე საბედისწერო შეცდომა „ცივი ომის" შემდგომ მთელ პერიოდში". იგი რუსეთთან მომავალი საომარი კონფლიქტის შესაძლებლობას ფანტასტიკურად და შეუძლებლად მიიჩნევს. ნატოს ქოლგის აღმოსავლეთით გადაწევის გადაწყვეტილება გამოიწვევს მხოლოდ იმას, რომ ანტიდასავლური განწყობილება მოსკოვში გაღვივდება და ძნელი ან შეუძლებელი გახდება სათათბიროში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მე-2 ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ნატოს გაფართოების ყველა მომხრეს როდი სჯერა, რომ ბებერ საბჭოთა დათვს კიდევ აქვს ყბები. ამიტომ გაფართოების მიზანი არის მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ მისცეს ნატოს საბაბი არსებობის გასაგრძელებლად. მეორე სკოლის წარმომადგენლებს რუსეთი იმდენად სუსტად მიაჩნიათ, რომ არცკი ღირს მიაქციონ ყურადღება მის პროტესტებს. არის კიდევ ერთი თვალსაზრისი, როგორც ჩანს, ყველაზე უკეთ დასაბუთებული: რუსების უმრავლესობას გაცილებით უფრო მეტად აფიქრებს ხელფასის მიუღებლობა და დამნაშავეობის ტალღა, ვიდრე ნატოს გაფართოების „საფრთხე".

ბატონ ჩერნომირდინს, მისი თქმით, სურს, რომ შეერთებულმა შტატებმა „ცივი ომი" უკან მოიტოვოს და მიმართოს რუსების ახალ, და არა ძველ თაობას. სასარგებლო იქნებოდა, იგი რომ ისე იქცეოდეს, როგორც ახალი რუსი ადამიანი. უკანასკნელი საბჭოთა ლიდერი, რომელსაც მთელი არსებით უყვარდა დათვების ხოცვა, იყო ლეონიდ ბრეჟნევი, დაასკვნის გაზეთი.

„გარდიანი", დიდი ბრიტანეთი.

# რეგიონები ცენტრს აღარ ეპუებიან

„რეგიონებსა და ცენტრალურ მთავრობას შორის ცვალებადი ძალთა ბალანსი უდავოდ გადაიხრება რეგიონების სასარგებლოდ და ფედერაციის საბჭოს, რომელსაც ადგილობრივი ხელმძღვანელები უძღვებიან, გადააქცევს პარლამენტის ნაკლებად მორჩილ პალატად. გუბერნატორთა მოხსნის ნაცვლად კრემლი იძულებულია მათთან მოლაპარაკება აწარმოოს. უფრო იოლი იქნება, მართონ ღატაკი რეგიონები, რომლებიც ფედერალური ბიუჯეტის სახსრებზე არიან დამოკიდებულნი.

მაგრამ გაუჭირდებათ, შეაკავონ რეგიონები, რომლებსაც სურთ თავიანთი გზით იარონ. ახლა ისინი უფრო მეტად გვანან რესპუბლიკებს, რომლებიც მოითხოვენ თითქმის სუვერენულ უფლებამოსილებას. ადგილობრივ პრეზიდენტთაგან ყველაზე გაელენიანს, თათრეთის პრეზიდენტს მინტიმერ შაიმიევს, მიაჩნია, რომ მის ტერიტორიაზე არაფერი არ უნდა ხდებოდეს მის დაუკითხავად, რამდენადაც თათრეთის ეკონომიკა რუსეთისაგან განსხვავებით იზრდება, შაიმიევი გახდა კაცი, რომელსაც ძნელია ეკამათო. ასეთი რეგიონული ავტონომია არგებს რუსეთის ეკონომიკას, თუ გუბერნატორები ინვესტიციების მოსაზიდად იბრძოლებენ. მაგრამ ცუდი იქნება, თუ გუბერნატორები მოინდომებენ მაქსიმალურად განიმტკიცონ პირადი ძალაუფლება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო შიშობს, რომ ადგილობრივი ხელისუფალნი თავად მოჰკიდებენ ხელს დიპლომატიას და საზღვარგარეთ შექმნიან წარმომადგენლობებს, დადებენ სავაჭრო და საინვესტიციო გარიგებებს საერთო ეროვნული ინტერესების გაუთვალისწინებლად. რეგიონულმა პოლიტიკურმა ბრძოლამ რუსეთში შეიძლება შეცვალოს შინაპოლიტიკური ვითარება. გუბერნატორთა არჩევითი პოსტები უზრუნველყოფენ მომხრეთა მტკიცე ბაზას და დიდ პოლიტიკურ და ფინანსურ რესურსებს. პატივმოყვარე ადამიანებისთვის ეს არის არანაკლებ მიმზიდველი პოსტი, ვიდრე ნებისმიერი თანამდებობა ცენტრალურ მთავრობაში, პრემიერ-მინისტრის სავარძლის გარდა. ლუჟკოვი, რომელიც ყველაზე მდიდარ რეგიონს პატრონობს, პერსპექტივაში შეიძლება პრეზიდენტად გავიდეს ისე, რომ არც დასჭირდეს პოსტი მთავრობაში. რუსეთის გუბერნატორები გათავისუფლდნენ კრემლის მხრივ კონტროლისაგან და ახლა მათი შემდგომი ამოცანაა უშოვონ პოსტები კრემლში თავიანთ მომხრეებს.

ჟურნალი „ეკონომისტი".



მარფი – ასე ეწოდება მასტიფის ჯიშის ძაღლს, რომელიც გინესის რეკორდების წიგნის მტკიცებით, ყველაზე დიდი ძაღლია მსოფლიოში. მისი სიგრძე ცხვირიდან კუდის წვერამდე თითქმის 2,5 მეტრია, ხოლო წონა – დაახლოებით 150 კილოგრამი. მარფი ბრიტანეთში ცხოვრობს, მარტინ და ჯულია ბაკერების ოჯახში. როგორც ცნობილია, თავისთავად, მასტიფი აგრესიული ჯიშია, მაგრამ მარფის პატრონები ამტკიცებენ, რომ იგი საოცრად ალერსიანი და მოსიყვარულეა.



ესპანეთში ზამთრის წყალდიდობაა.

## 2,5 მილიონი დოლარი – სალმან რუშდის თავში

ირანის კერძო ფონდმა „ჰორდადმა" 2,5 მილიონ დოლარამდე გაზარდა ჯილდო, რომელიც გამოცხადებული იყო ბრიტანელი მწერლის სალმან რუშდისათვის გამოტანილი სიკვდილის განაჩენის აღსრულებისათვის. აქამდე ჯილდოს ოდენობა 2 მილიონს შეადგენდა. ფონდის მეთაურმა ჰასან სანეიემ ირანის გაზეთ „ჯუმჰური ისლამის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ „ფონდისათვის არაფერია იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე განაჩენის აღსრულება". როგორც ცნობილია, სალმან რუშდის მიუსაჯა სიკვდილი ირანის მაშინდელმა ლიდერმა აიათოლა ხომეინიმ „ეშმაკეული ლექსების" დაწერისათვის.

## თუ თავისუფლებაა, თავისუფლება იყოს!

ფლორიდელმა სტუდენტმა რებეკა ანტოლაკმა მოუგო სასამართლო პროცესი ბრაუარდის საგრაფოს სკოლების საბჭოს, რომელსაც ქალიშვილმა ბრალად დასდო თავისი სიტყვის თავისუფლების დარღვევა. საქმე ის არის, რომ საბჭოს წევრმა ჯონ კელიმ ბრძანა, სკოლის ვესტიბიულიდან გაეტანათ სტუდენტი გოგონას მიერ გამოძერწილი ქანდაკება – შიშველი მამაკაცი, რომელსაც ხელში ტუჩის სახე უკავია. კელიმ ქანდაკება „მეტისმეტად თამამად" მიიჩნია. სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ რებეკა ანტოლაკი მიიღებს 25 ათას დოლარს, კიდევ 20 ათასი მოხმარდება სასამართლო ხარჯების დაფარვას.

# დისკუსია ნატოს გაფართოების საკითხებზე

ვაშინგტონის ნიქსონის ცენტრში გაიმართა რუსეთისმცოდნე სპეციალისტთა დისკუსია, რომლის მონაწილეებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) გაფართოებასთან დაკავშირებული უპირატესობანი მნიშვნელოვანწილად აღემატება რისკს, რომელიც უკავშირდება რუსეთის პროტესტებს და იმის შესაძლებლობას, რომ კლინტონის ადმინისტრაცია და ჩრდილოატლანტიკური კავშირი შეიძლება იძულებული გახდნენ გააუქმონ წინათ გამოცხადებული გადაწყვეტილება.

ცენტრის დირექტორმა დიმიტრი საინსმა აღნიშნა, რომ ნატოს გაფართოებას ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებიან რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები და, მისი თქმით, ოფიციალურ პირთა შემფოთება „ერთობ ხელოვნურ ხასიათს ატარებს", ვინაიდან რუსეთი არც ერთ წერტილში, კალინინგრადის ანკლავის გარდა, არ შეეხება ალიანსის ახალი წევრების ტერიტორიას.

საინსმა გამოთქვა ვარაუდი, რომ რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენლებს იმედი აქვთ თავიანთი პროტესტებით რალაც დაათმობინონ ნატოს, რათა იელისში, როდესაც ალიანსი თავის სამიტზე შეიკრიბება, რუსებს შეეძლოთ ილაპარაკონ „მოპოვებულ გამარჯვებაზე".

უფრო მეტიც, თუ ნატო ყურად ილებს რუსეთის წამოყენებულ არგუმენტებს და უკან დაიხევს, მაშინ რუსები ამას მიიჩნევენ შეერთებული შტატების სისუსტის ნიშნად და იმის სიგნალად, რომ შეუძლიათ შეუტიონ ამერიკის ინტერესებს მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც.

ამ აზრს დაუჭირა მხარი პოლ გობლმა, სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა თანამშრომელმა, რომელიც ამჟამად რადიოსადგურ „თავისუფალი ევროპა-თავისუფლების" დირექტორის მოადგილეა. მან განაცხადა, რომ თუ ალიანსი გაფართოებაზე უარს იტყვის, „ასეთი ვარიანტის პოლიტიკური ფასი ძალზე ძვირი იქნება და მისი გადახდა მარტოოდენ ევროპას არ მოუწევს".

თუ ცნობილი გახდა, რომ შეერთებული შტატები ასუსტებს თავის პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე, მაშინ სხვა ქვეყნები შეეცდებიან შეავსონ წარმოშობილი ვაკუუმი.

რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, ახლა ბევრი მათგანი ატარებს ზომიერ პოლიტიკას ნატოსა და სხვა დასავლურ ინსტიტუტებში შესვლის იმედით. ხოლო თუ მათ მიღებაზე უარს ეტყვიან, შეიძლება შესაბამისად შეცვალონ თავიანთი პოლიტიკა.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა–ფორტეს" მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№38. კვირა, 16 თებერვალი, 1997 წელი.

## საიდან, როდიდან მოვდივართ?

ლევან სანიკიძე

# არანაკლებ 3500-მეთქი!!!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ადრე (1996. 2. V) დაბეჭდილა ბატონ რევაზ ბარამიძის მრცირეტანოვანი წერილი – „რატომ 79 წელი და არა 23 საუკუნე?!“ თავის დროზე ეს „თხზულება“ (თუ „შეთხზულება“!) რატომღაც გამომრჩენია და არ წამეკითხა; ახლა კი თვითონ ავტორმა გადმომცა, მადლობაც მოვახსენე, მაგრამ... ნეტავ არც ახლა და არც არასდროს არ წამეკითხა! ამას სწორედ წრფელი სინანულით (სინანულით-მეთქი!) ვამბობ, რადგან ავტორი არა მხოლოდ ჩემი უახლოესი მეგობარია, არამედ ჩვენი სამეცნიერო-სამწერლობო, თუ, საერთოდ, საეროვნებო აზროვნების თანაზიარი, ზოგჯერ წერილობითი თანაავტორობითაც „დამმობილებული“. დიახ, – და, რომ ჩვენი ურთიერთობა ამ სიმაღლისად არ ყოფილიყო, სხვა ვინმე კნუტსულოვანი „დრეკავტორი“ ბუნებრივად, პასუხის ღირსიც ვერ გახდებოდა.

წერილს დავუბრუნდეთ და იმით დავიწყოთ, რასაც იქნებ რამენაირად მხარდაჭერა მოუხერხდეს. ავტორი ჯერ სათაურშივე, და მერე იქვე, წერილის პირველ სტრიქონებშივე მიანიშნებს, რომ 79 წლის წინანდელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ზარზეიმით აღნიშვნას 23 საუკუნის წინანდელი ფარნავაზ მეფისა და მისი დროის ქართული სინამდვილის აღნიშვნა ვამჯობინოთო.

თქვენს პირს შაქარი, რეზო ძვირფასო! მართლაც და, რა შედარებაა? სად ფარნავაზის ეროვნული, ნაციონალურ-მამულიშვილური სიდიადე და სად ანტინაციონალ „სოციალ-დემოკრატთა“, ანუ სწორედ ქართული ნაციონალიზმის მამამთავრის მკვლელთა სრულიად შემთხვევითი (შემთხვევითი-მეთქი!) „გახელმწიფება“?!

გავახსენოთ მკითხველს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის, გაწიწმატების, თუ მსგავსი რამ გრუკულენციის გარეშე: ე. წ. „მესამედასელები“, იგივე „სოციალ-დემოკრატები“, მათი თავკაცი ნოე ჟორდანია – ეს „რუსული მარქსიზმის თვალაბმული თუთიყუში“ (როგორც ნათლავდა მას თვით ილია ჭავჭავაძე), – ყველა „მენშევიკი“, თუ „ბოლშევიკი“ – აკი ყველა ერთად მეთქი, სწორედ ილიასეულ ეროვნულობას, საერთოდ, ეროვნულ ცნობიერებას და აქვე – სწორედ ეროვნულ-დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობაზე ფიქრსაც კი ებრძოდნენ გააფთრებით და „გადაფიჩინებით“.

ილიას მკვლელობაც ხომ ერთად დაადგინეს, დადგენითა ერთიანი „კომიტეტისა“: ერთი ფილიპე (მახარაძე), ორი ისიდორე (ჯიბლაძე და რამიშვილი), ორი ნოე (რამიშვილი და ხომერიკი) და ერთი პეტრე (გელეიშვილი). მაშასადამე – ერთი „ბოლშევიკი“ და ხუთი „მენშევიკი“.

მესამე და „მთავარი ნოე“ კი – ჟორდანია – ამ „საერთაშორისო პროლეტარიატის გმირთა“ შეკრებაზე არ მივიდა და ვითომ „ხელიც დაიბანა“ პილატესავით. მაგრამ სულ მალე ეს პილატე ლანჩხუთელი იმ პილატე პონტოელზე გაცილებით უარესი აღმოჩნდება. აკი პონტოელს არასოდეს უარუყვია თავისი „ხელის-ბანვა“ და არ გაუმართლებია ქრისტეს ჯვარცმითი სიკვდილი. ეს ჩვენი ნოე-პილატე კი უკვე წერილობით „ასაბუთებს“ წინამურის ამაზრზენი ტრაგედიის „სამართლიანობას“: დიდი ამბავი, ეგ თუ მოკლეს, – აკი ხეს რომ ჭრიან, ნაფოტიც ცვივაო!..

და, – წარმოგიდგენიათ უკეთესი „კანდიდატი“ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს მეთაურად?

ან კიდევ, მეორე, სულით და გულით რუსული სოციალ-დემოკრატიის უსაჩინოესი იანიჩარ-კონდოტიერი – ირაკლი (კაკი) წერეთელი: მე მეზიზღება პატრიოტიზმზე, სამშობლოზე და ქართულ ენაზე ლაილაიო!

და, აი, გასაოცარი ბედისდაცინვა საქართველოს თავს:

სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავშეწირული ერის მამანი – ილია, აკაკი, ვაჟა – საფლავში წვანან და მათ საოცნებო ადგილზე მათივე დაუძინებელი მოსისხლენი სხდებიან!..

ილიას მკვლელები – ილიას ნაოცნებარზე!!!

ასეთი გაუგონარი მოულოდნელობა?!

დიახ, მოულოდნელობა – ორი მოულოდნელი ფაქტორით: რუსეთს საქართველოსთვის აღარ ეცალა (იქ სამოქალაქო ომი დაწყებულიყო), სამაგიეროდ მისთვის თურქეთს „ეცალა“ (აქ ეროვნული აღმავლობა დაწყებულიყო).

და, აკი თვითონ ჟორდანიას ანტიეროვნულ კალამსაც დაუცურდა: „მაშასადამე, დღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. და ეს იყო *სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არგათვალისწინებული* ამბავი. მისი გატარება ჩვენს რევოლუციონურ ორგანიზაციებში გახდა *დიდ თავსამტვრევ ამოცანად*“ (ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, გვ. 128).

ერთი სიტყვით, ბატონ რევაზ ბარამიძესთან ერთსმივობით, იმ „ქარის მოტანილი დამოუკიდებლობის“ გატოლება, მით უფრო, უპირატესობის მინიჭება, დიდი ფარნავაზის მაღალღირსეულ ეროვნულ ღვაწლმოსილებასთან – უარესი რომ არ წამოგვცდეს – სწორედ რომ გაუგებრობა გახლავთ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონ რეზოს წერილში მთავარი ცდომილება სულ სხვა რამ გაუთვალისწინებელში აღმოჩნდა. მისი აზრით, თურმე ქართული *სახელმწიფოებრიობის* ისტორია, ისტორია-მეთქი – ფარნავაზისაგან იწყება, ხოლო მანამდე ქართველობას სახელმწიფოებრიობისა არცრამე ჰქონიათ, არცრამ მოლანდებიათ (!), და, ვიკმაროთ და ვიზეიმოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობის 23 საუკუნე, ანუ 2300 წელი, და ამით გავაკვირვოთო მთელი ქვეყანა!

ხოლო, საბუთი ასეთი „ისტორიული მტკიცებისა“? საბუთი, არც მეტი, არც ნაკლები – გრიგოლ ორბელიანის ლექსი: „შენ, ჰე, ფარნავაზ, ჰქმენ ერთ-მეფობა...“ და სხვ.

მაშასადამე, სახელმწიფოებრიობის ისტორია საერთოდ მაშინ უნდა დაიწყო, როცა ქვეყანა ერთმეფობის ქვეშ გაერთიანდა. ფარნავაზი სრულიად საქართველოს დიახაც, პირველი გამაერთიანებელია, მაგრამ მანამდელი სახელმწიფოებრიობის (გნებავთ, „საქართველოების“) უარყოფა, რეზო, ბოდიში, და – აბსურდი გახლავთ.

აბა, ჩემო ძმაო, აგრე რომ ვიფიქროთ, მაშინ ეს ჩვენი საქართველო თქვენგან „განსაზღვრულ“ 23 საუკუნეს კი არა, 4 საუკუნესაც ვერ მოაგროვებს!.. საქართველო მთელი მისი ისტორიის, სულ ცოტა, ორ-მესამედის გასწვრივ დაშლილი იყო; მაგრამ ეს ცალკეული „საქართველონი“ – ქართლი, კახეთი, ჰერეთი, იმერეთი, აფხაზეთი, სამეგრელო, გურია და ა. შ. – თქვენ რა, სახელმწიფოები არა გგონიათ?!

ერთიანი, ჩემო ძმობილო, საქართველო აკი დღესაც არ გახლავთ და, ვითომ, მისი სახელმწიფოებრიობაც უკვე გაქრა და აორთქლდა?! აი, სადამდე მივედით (თუ მივლასლასდით!).

კარგი, საქართველოდანაც გავიდეთ (ატირებულნი!) და მსოფლიო ისტორიაც მოვსინჯოთ – ვთქვათ, ძველი ბერძნები, მსოფლიო ცივილიზაციის ბაირახტარნი. აი, მათი ანტიკურობის ათასწლეული, – მაგრამ, თქვენდა გასაწბილებლად, მთელს იმ „ოქროს ათას წელიწადს“ იმ ბრძენთაბრძენ ჰელადას *სახელმწიფოებრივი ერთიანობა* საერთოდ რომ არ ჰღირსებია და სიზმარშიდაც რომ არ უნახავს?! იქ ხომ ყოველი ქალაქიც კი ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო! მუდამ ცალკე „პოლისებით“, ანუ სწორედ ცალკე დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებით იყო მოფენილი სრულიად ბალკანეთი, ეგეიდა, იონიური მცირე აზია. ის კი არა და, მთელს ხმელთაშუა და შავ ზღვათა სანაპიროებზე გაფანტული ბერძნული კოლონიებიც (მათ შორის, ჩვენთან – ფაზისი, დიოსკურია, პიტიუნტი) თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი სტრუქტურებით ცხოვრობდნენ.

მერე, აქეთ, შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორიით – გერმანიაში რომ იმდენი „ნაქუცმაცევი გერმანიები“ იყო, საფრანგეთში – „საფრანგეთები“, იტალიაში – „იტალიები“, ესპანეთში – „ესპანეთები“, რუსეთში – „რუსიები“, და – როგორ, თქვენ თუნდაც ამდენი „ები“ სახელმწიფოები არა გგონიათ?! არ ვიცი, ბატონო ჩემო, – თუ რაიმე მსოფლიო ისტორიის ახალი გააზრება გაქვთ, დაწერეთ ეს „ახალი თეორია“, წავიკითხოთ და, ვინ იცის, იქნებ მეც დაგიდგეთ. თანაავტორად (ამის პრაქტიკაც ხომ გვაქვს მე და თქვენ – ბოდიში – თქვენ და მე, ძმაო რეზო!).

ამიტომ ახლა დროა, ამნაირ „ხუმრობებს“ თავი დავანებოთ (ან, სუფრისთვის შემოვინახოთ!), დაუყოვნებლივ საშუალო სკოლის სახელმძღვანელო გადავშალოთ და იმ თქვენეულ 23 საუკუნეს ისტორიის სიღრმეში შევუყვეთ და მანამდელი ქართულ-სახელმწიფოებრივი საფეხურებიც მივუმატოთ:

სპერი – ძვ. წ. VII-VI ს ს (ჩვენგან 2600-2700);

კოლხა – ძვ. წ. VIII ს (ჩვენგან 2800);

დიაოხი – ძვ. წ. XIII ს (ჩვენგან 3300);

კოლხეთი – ძვ. წ. XVII-XV სს (ჩვენგან 3500-3700).

უკეთუ აკად. სიმონ ჯანაშიას მტკიცებასაც ვენდობით (ან, რატომ არ უნდა ვენდოთ?!) და ქართველობას ძველი ხეთებისა და მითანელების ნათესავებად ვირწმუნებთ, მაშინ ამ „დიაგრამას“ 500 წელი კიდევ დაემატება და საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია ჩვენგან 4200-წლოვან წრეწირშიც აღმოჩნდება.

მაგრამ, რაკი ჩვენ, „უცხოთმოყვარე ქართველნი“, „ჩვენსავით ქართველის“ თეორიას „საუცხოოდ“ ვერ მივიჩნევთ – აქცენტი მაინც გადმოვიტანოთ მსოფლიო მეცნიერებაში სახელდებულ „მინოსის ეპოქაზე“, რომლის ასაკი – ძვ. წ. XVII-XV საუკუნენი – მტკიცედ და ურყევად („საუცხოოდ“!) განსაზღვრა და დაადგინა სწორედ შესანიშნავმა ინგლისელმა მეცნიერმა, ოქსფორდის უნივერსიტეტიდან – არტურ ევანსმა.

ხოლო, იმავე „მინოსის ეპოქაში“, მისგან მუდამ განუყრელ და განუკვეთელ თანადროულობაში – *მხოლოდ თანადროულობაში*-მეთქი – იმ გენიალურ ბერძენთაგან, მრავალი თვალსამზირით, გააზრებული და დაფიქსირებულია: „კოლხიდა“, „აია“, „კუტაია“, „კუტატისის“, – და, რა ვქნათ ახლა – იმ სახუმარო „ზესტაფონური შეძახილისა“ არ იყოს! – არ დავიჯეროთ, რომ ეს ქართული, გინა ქართველური (!) სახელმწიფოებრიობის ფენომენია?! აპა, არა? აპა, არა?!

ხუმრობა, მაინც თავისთვის იყოს, ძმაო ჩემო და სახუმარო კი არა, სამწუხარო იქნება, თუ იმ მსოფლიო აზროვნების კორიფეებს არ დავუჯერებთ და მართლა ვინმე ადგილობრივი არქეო-პუბლიკატორული გონითი სივიწროვით, მაინც და მაინც ქვაზე დაწერილი „დაბადების მეტრიკის“ მიწიდან ამოთხრას დაველოდებით.

დიახ, ძმაო რეზო, ქართული სახელმწიფოებრიობის 3500 წელი უნდა აღვნიშნოთ, მაინც-მეთქი, რამეთუ აკი 3600 ან 3700-ც თავისუფლად შეგვეძლო „მოგვეთხოვა“, რასაც ზოგი ციდამტკაველა „აკვიატებასაც“ დაარქმევდა. ასე რომ, – იმ ორასი წლის დაკლება ვიკმაროთ (როცა მსოფლიოს პრიმასახელმწიფოს, აშშ-ის მთელი არსებობა 250 წლით განისაზღვრება!). იქნებ, ჩვენი მოძმე-მეზობლებისთვისაც მიგვებაძა და ჩვენ – ამ უცნაურ „გიქვრაცუებს“ – რეალურად ჩვენეული დაგვეკლო კი არა, გამოგონილ-სხვისეულიც მიგვემატებინა, – მაგრამ მაინც ჩვენებური არ დავიმალოთ, ის 200 დავიკლოთ და *არანაკლებ 3500 მაინც* აღვნიშნოთ, ჩვენებური ზარზეიმით!

აი, სწორედ და *მხოლოდ* ამნაირ გააზრებას უნდა მიესადაგოს რევაზ ბარამიძის იმავე წერილში შესანიშნავად ნაბრძანები, – რომ ყოველივე ეს „საჭიროა დღევანდელობისათვის, დღევანდელი მოქალაქის თვითშემეცნების გაძლიერებისა და გაცნობიერებისათვის, საჭიროა ახალგაზრდობისათვის, რომელთაც უნდა გაიცნობიერონ, თუ ვისი „გორისანი“ არიან და თუ რაოდენ დიდი ტრადიცია მოგვდგამს ეროვნული სახელმწიფოებრიობის არსებობისა“.

ხოლო, რაც შეეხება ფარნავაზს, დიახაც სრულიად საქართველოს პირველ გამაერთიანებელს და „ყოველი საქართველოს ერთ-მეფობის“ შემქმნელს, და კიდევ – ქართული სახელმწიფოებრიობის შუაგულს!!! (და არავითარ შემთხვევაში „დამწყებს“!) – სწორედ საგანგებო პატივი უნდა მიეგოს, ძეგლიც უნდა დაედგას, იქ – მცხეთაში, ერთიანი საქართველოს სატახტოში. დიახ, ძეგლები მცხეთაში – ძეგლი ფარნავაზ გამაერთიანებელს და ძეგლი ნინო განმანათლებელს!

(სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით, ამ 35 წლის წინათ დაიწერა წერილი – „სასურველ ძეგლთა სიმფონია“, მაგრამ მაშინდელმა თბილისელმა გამომცემელმა „ბოსებმა“ არ დაბეჭდეს იმ „მოტივით“, რომ მცხეთის ასეთი „ძეგლური ამაღლება“ თბილისს დაამდაბლებსო! ამიტომ, თუ ფარნავაზი და ნინო დაიდგმება, ჯერ თბილისში უნდა დაიდგასო და სხვა მისთანა „ბოსობანი“).

ახლა კი რევაზ ბარამიძე აყენებს ასეთ მაღალკეთილშობილურ საკითხს და ჩვენც კვლავ ასეთი „გაბედული აზრის“ თანაავტორი გახლავართ – გაბედულებისა, რამეთუ იმ „ისტორიულმა ფრთოსნებმა“ – ხოსობმა და მიმინომ, აკი თბილისი ფარნავაზიდან მხოლოდ რეაასი წლის შემდგომ „აღმოაჩინეს“ და „აღმოაცენეს“ (მაგ ჩვენი ცოდვით სავსეებმა!)...

ხუმრობა კვლავაც თავისთვის იყოს, ჩვენ კი, უკვე გამოცდილი თანამოაზრეობით, კვლავ ერთად ვიზრუნოთ იმ მოწოდების აღსრულებისთვის, რაიც ისე საისტორიო-სანიშანსვეტოდ მიანიშნა ჩვენმა პრეზიდენტმა სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის უსაჩინოესი გმირის, ცოტნე დადიანის ძეგლის გახსნისას.

დიახ, და აღინიშნოს იგი სწორედ 3500 წლის მოცულობით.

ხოლო, ამაზე დანაკლულებით თუ აღვნიშნავთ – ამაზე ნაკლებით?! და როგორ გაიხარებენ ჩვენი მუდმივ მოჯიბრენი („მომშურნეს“ ნუ ვაკადრებთ!), თვითონ იზეიმებენ: „შეხედეთ, შეხედეთ, – აკი თვითონ გაიძახიან, რომ ჩვენზე მეტი, ჩვენზე დიდი არა ჰქონიათო!“

ნუ იყოფინ, ძმანო ქართველნო! *ნუ დავამცირებთ, ნუ დავცინებთ* და უარესსაც ნუ დავმართებთ სამშობლოს ჩვენსას, თუნდაც ისეთი „დამართებით“, ძველ-რომაელმა ისტორიკოსმა, გაიუს სალუსტიუს კრისპუსმა რომ ბრძანა, სრულიად უბოდიშოდ:

„პენე ბონა პატრია ლაცერარე“ (!!!).

ასეთი სირცხვილისაგან კი უფალი გვიხსნის მხოლოდ 3500-წლოვანი ეროვნული სულისძერისათვის.

მაშ, კიდევ ერთხელ: არანაკლებ **3500**-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

# რამდენიმე მოსაზრება სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებით

სახელმწიფო სიმბოლიკა საუკუნეების მანძილზე იქმნება და როგორც უნდა გავზარდოთ კონკურსით გათვალისწინებული ვადები, მაინც ნაჩქარევად, ძალდატანებით და ხელოვნურად მოხდება ის, რაც სინამდვილეში, ბუნების მოვლენასავით, თითქოს თავისთავად ხდება...

ამერიკელი „რკინის ლედის“ ამასწინანდელმა საპროგრამო გამოსვლამ ერთხელ კიდევ დაადასტურა რუსეთის განსაკუთრებული უფლებამოსილება ეგრეთ წოდებულ „ესენგეს“ ფარგლებში, რაც მეტად დამაფიქრებელია და განსაკუთრებით „ესენგეს“ წევრი ქვეყნებისთვის, რასაკვირველია, თუკი ისინი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენას სერიოზულად აპირებენ. ჩვენ კი, თუნდაც სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის წევრები, ჯერჯერობით, იმაზე ვდაობთ, ახალი ჰიმნის შექმნისას ტექსტს უნდა ენიჭებოდეს უპირატესობა თუ მელოდიას... მოკლედ, ჯერ ისიც არ ვიცით, რა გვინდა: მრავალჭირნახული, მრავალგზის პატივაყრილი, მაგრამ დღევანდლამდე მაინც ღირსეულად მოღწეული ქვეყნის ისტორიული მონაპოვრის აღდგენა, თუ სრულიად ახალი, „ესენგეს“ შესაფერი სახელმწიფოს შექმნა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია საერთოდ საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის საქმიანობის გასარკვევადაც — ჯერ კიდევ ამოუწურავი, მრავალმხრივი და მრავალნაირი მასალაა მოსაძიებელი, მოსაწესრიგებელი და, რა თქმა უნდა, შესასწავლიც, რის გარეშეც ყოვლად წარმოუდგენელია ესოდენ სერიოზული და [illegible]თული გადაწყვეტილების მიღება, გნებავთ, არჩევანის გაკეთება არსებულსა და არარსებულს შორის. ვერც ერთი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი, მით უფრო, პოეტი და მხატვარი, ვერ იტყვის დაბეჯითებით, თუ როგორი სახელმწიფოებრივი სიმბოლოები შეესაბამება ისეთ ქვეყანას, როგორიც დღევანდელი საქართველოა, ანდა, როგორადაც წარმოგვიდგენია ის ჩვენს ფიქრებსა თუ ოცნებებში. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ კონკურსების გამოცხადებითა და საკონკურსო მასალის საჯარო განხილვებით ეს არ მიიღწევა. პირიქით, ამ ნიადაგზე, შეიძლება, ბევრი წინასწარ ძნელად გასათვალისწინებელი დაბრკოლებაც წარმოიქმნას. ასევე, ხელის შეშლის მეტს არაფერს მოგვიტანს „საქართველოს სახელმწიფოს დღევანდელი რეალიებისა და მრავალეროვნულობის“ გათვალისწინება. ჩემი აზრით, სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის სამუშაო თეზისად თავიდანვე ის ანბანური ჭეშმარიტება უნდა ქცეულიყო, რომლის თანახმადაც საქართველო დიდი ისტორიული წარსულის მემკვიდრეა, გუშინდელის ლოგიკური გაგრძელებაა და არა დღევანდელი პოლიტიკური მოვლენების შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი ჩანასახი. რაც მთავარია, არაფრით არ შეიძლება, ლამის მარადისობის წიაღიდან გამოღწეული ქვეყნის მისია, მისი მოვალეობა და დანიშნულება დანარჩენი კაცობრიობის წინაშე, დაიყვანებოდეს თუნდაც ხიზანთა თავშესაფრის უკეთილშობილეს ფუნქციამდე, რაც არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო, არც ერთ ჩვენზე არანაკლებ სტუმართმოყვარე და ჩვენზე გაცილებით მრავალეროვნულ სახელმწიფოში.

ახლავე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი „მრავალეროვნულობა“ მაინც პოლიტიკური ძალდატანების შედეგია და არა ბუნებრივი, ნებაყოფლობითი მიგრაციისა. რუსეთის იმპერიული კანცელარია ყოველთვის დაბეჯითებით ცდილობდა საქართველოში „მრავალეროვნულობის“ ცნების დანერგვას, რადგან ესეც საქართველოს დაპყრობის, გადაგვარებისა და მითვისების საშუალება იყო მისთვის და არა უპოვართა და უსამშობლოთა მიმართ თანაგრძნობისა და ყურადღების გამოხატულება. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს, როცა ისტორიის ჩიხში მიმწყვდეული საქართველო ბუნებრივად აღმოჩნდა საბედისწერო არჩევანის წინაშე, საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, რუსეთის წაქეზებით, ისეთი დაუფარავი და, ცოტა არ იყოს, მლიქვნელური აქტიურობით დაუჭერია მხარი საქართველოს სამეფოს გაუქმების იდეისთვის, ამ იდეის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მიმდევარი, მეფე გიორგი მეთორმეტეც კი გაღიზიანებულა და განრისხებულს უთქვამს: სტუმარმა თავისი ადგილი უნდა იცოდესო. მართლაც, ოჯახური საქმეების გადაწყვეტა მასპინძლის პრეროგატივაა და არა სტუმრისა. ყოველ შემთხვევაში, ამგვარ სიტუაციაში ყოველთვის მოსული (სხვა ეროვნების წარმომადგენელი) იჩენს ტოლერანტობას დამხვდურის (ქვეყნის კანონიერი პატრონის) მიმართ, ანუ, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე დგება იმ დროშის სამსახურში, რომელიც მის მიერ მეორე სამშობლოდ აღიარებული ქვეყნის თავზე ფრიალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენიღბულ, შენელებულ ანექსიასთან გვაქვს საქმე, როცა უკვე ანექსირებული იძულებულია ტოლერანტობით გაამართლოს თავისი უმწეობა და სისუსტე.

სახელმწიფო სიმბოლიკა არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ შექმნილა და, იმედი უნდა ვიქონიოთ, არც მომავალში შეიქმნება ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნებათა რაოდენობისა, თუ მათი რელიგიურ-პოლიტიკურ-ზნეობრივ მონაცემთა გათვალისწინებით. თუკი მსოფლიო ისტორიიდან ერთი მაგალითის მოტანა მაინც შეიძლება საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად, აქ გამოთქმულ მოსაზრებას, თავისთავად ცხადია, ჭეშმარიტების პრეტენზია ვერ ექნება, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევია ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, უფრო სწორად, როგორადაც საქართველო ესახებოდათ და ესახებათ მის მრავალრიცხოვან, დიდსა თუ პატარა მტრებს. მრავალეროვნულობის გათვალისწინება, ძალაუნებურად, საკუთარი ეროვნულობის უარყოფამდე მიგვიყვანს, მით უფრო, რომ მრავალეროვნულობა სრულებითაც არ არის საქართველოს სახელმწიფოს გამოსარჩევი ნიშანი. მრავალეროვნულობაზე მეტად ჩვენი გამოსარჩევი ნიშანი, ალბათ, სხვათა მაამებლობაა, რაც თავისთავად კარგი თვისებაა, მაგრამ სახიფათოა, როცა სახელმწიფო ინტერესებს ემთხვევა. როგორც უნდა მოვინდომოთ, ყველას გულს მაინც ვერ მოვიგებთ. ამავე დროს, სხვათა მაამებლობა უფრო ადამიანური სისუსტეების გამოხატულებაა, ვიდრე პოლიტიკური პრინციპულობისა, თუ მეცნიერული ობიექტურობისა. მოკლედ, ამ სახიფათო და ძნელად მოსარევ სურვილს უნარი შესწევს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს ნებისმიერი ჩვენგანი — დღეს უარი გვათქმევინოს იმაზე, რასაც გუშინ ვიცავდით და, პირიქით, დღეს იმის დამცველებად გამოგვიყვანოს, რასაც გუშინ თავგამოდებულნი უარვყოფდით, ანუ, გარემოების შესაფერისად, ხან საერთოდ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ, ვთქვათ, ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობა, როგორც ახლო, ისე შორეულ წარსულში, ხან კი, იმავე სახელმწიფოს ფესვები პრეისტორიულ ეპოქებში ვეძებოთ. საქართველოს, რუსეთისგან განსხვავებით, რა თქმა უნდა, არ შეუძლია მხოლოდ თავისი სურვილით, თავისი ნებით და, თუნდაც, მრავალრიცხოვან ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით, ერთბაშად აღადგინოს ის, რაც წინაპრის ძალისხმევითა და განგების ძალით, ჯერ კიდევ მისად ითვლება, ჯერ კიდევ არ გაუსხვისებია შვილთა სიბეცითა თუ შვილობილთა სივერაგით გამწარებულს. ძველის აღდგენა, მით უფრო, სხვებზე დამოკიდებული ქვეყნებისგან, ყოველთვის დიდ ძალისხმევასა და გამბედაობას მოითხოვს. სხვათა შორის, ბაგრატიონთა შეცდომა ის კი არ არის, რუსეთის მფარველობის ქვეშ რომ შეიყვანეს ქვეყანა, რასაც სჭირ... და, გარკვეული თვალსაზრისით, სამართლიანადაც ვუკიჟინებთ ხოლმე, განსაკუთრებით კი ამ ბოლო დროს, არამედ — ძველის აღდგენა რომ ვერ გაბედეს, ვერ გაბედეს საქართველოს გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ, რაზეც საერთოდ არ ვლაპარაკობთ, ან თუ ვლაპარაკობთ, არ ვანიჭებთ თავის ჭეშმარიტ მნიშვნელობას. რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა ამ საბედისწერო შეცდომის კანონზომიერი შედეგია მხოლოდ, რითაც ჯვარი დაესვა ერთ-ერთი უკეთილშობილესი და უაღრესად ტრაგიკული სამეფო დინასტიის ლამის ათსაუკუნოვან არსებობას.

და აი, ორასი წლის შემდეგ, ისევ იმავე დილემის წინაშე აღმოვჩნდით: ან უნდა აღვადგინოთ ძველი — ანუ, არა მარტო გარეგნული ხატი დავიბრუნოთ ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოსი, არამედ მტკიცედ და მკაფიოდ მივუთითოთ, თუ რომელ კულტურულ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეს განეკუთვნება საქართველო თავისი ისტორიული გზითა და მსოფლმხედველობით — ან შევქმნათ ახალი სახელმწიფო სიმბოლიკა, რათა მეტნაკლებად ასატანი გავხადოთ ჩვენი არსებობა იმ ძლიერი სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც, სამწუხაროდ, ძალაც შესწევთ და პრეტენზიაც გააჩნიათ, ერთხელ კიდევ თავიანთი ინტერესების შესაბამისად მიგვიალებინონ ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. და მაინც, მიუხედავად რეალური სირთულეებისა, გნებავთ, საფრთხისა, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და ჩვენი ხვალინდელი დღის გათვალისწინებითაც, ახალი სახელმწიფო სიმბოლიკის შექმნას, ისევ უკვე არსებულის აღდგენა აჯობებს. სახელმწიფო სიმბოლიკა საუკუნეების მანძილზე იქმნება და როგორც უნდა გავზარდოთ კონკურსით გათვალისწინებული ვადები, მაინც ნაჩქარევად, ძალდატანებით და ხელოვნურად მოხდება ის, რაც სინამდვილეში, ბუნების მოვლენასავით, თითქოს თავისთავად ხდება. ღმერთმა ქნას, მკვდრეთით აღმდგარმა ქართულმა სახელმწიფომ განვითარების ისეთ სიმაღლეებს მიაღწიოს, აუცილებელიც გახდეს გაზრდა და გამდიდრება უკვე არსებული სიმბოლოებისა, რომლებსაც, ისტორიული უსამართლობისა თუ ბედის უკუღმართობის მიუხედავად, მაინც შეუბღალავად, მაინც თავდაპირველი ბრწყინვალებით მოუღწევიათ ჩვენამდე და, რაც მთავარია, ჯერ კიდევ შესწევთ უნარი უკეთ წარმოგვაჩინონ სხვათა თვალში.

სახელმწიფო სიმბოლოები, უპირველეს ყოვლისა, იმის რწმენას გვიღვივებს, ჩვენც რომ აუცილებელნი ვართ ვიღაცისთვის მაინც, ხოლო, ის ვიღაცა, არც მეტი და არც ნაკლები, ჩვენი სამშობლოა — აღთქმული ქვეყანა, სადაც განგებამ განგვაწესა ადამიანური მოვალეობების აღსასრულებლად. სახელმწიფო სიმბოლოები, ამავე დროს, ორიენტირებადაც აღიქმება ამქვეყნიური განურჩევლობის, გულგრილობისა, თუ დაუნდობლობის ოკეანეში. ისინი წარმართავენ ჩვენს სულიერ მისწრაფებებსა თუ ზნეობრივ მიდრეკილებებს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენთვის გასაგებ ენაზე გვიმარტავენ, თუ რატომ ვარსებობთ საერთოდ, რა გვევალება, რას უნდა ვემსახუროთ და, ბოლოს და ბოლოს, რას უნდა შევეწიროთ, რის საფასურად. აქედან გამომდინარე, უბრალოდ, გაუგებარიც არის, რატომ უნდა შექმნას ქვეყანამ სახელმწიფო სიმბოლოები ხელახლა, თუკი ამ სიმბოლოებით ერთხელ უკვე უცხოვრია და გაცილებით უკეთესადაც, ვიდრე უიმათოდ ცხოვრობს. ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი, იგივე საქართველოს სახელმწიფო გერბია; დავით აღმაშენებლის დროშა, რომელსაც უცხოური წყაროებიც მოიხსენიებენ, იგივე საქართველოს სახელმწიფო დროშაა და, რაც მთავარია, დღესაც მხოლოდ უკეთეს გრძნობებს აღვიძებს ყველა ჭეშმარიტი ქართველის გულში — ეროვნულ ღირსებასა და სიამაყეს. ხოლო, თუკი მაინცდამაინც გვინდა „მრავალეროვნულობის“ გათვალისწინება, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს დროშა აღიქმებოდა საკუთარი ადამიანური ცხოვრების გარანტად საქართველოში სხვადასხვა დროს შემოხიზნულთა მიერ. რაც შეეხება ჰიმნს, რასაკვირველია, ისიც უსათუოდ გვექნებოდა — საქართველოს შეიძლება ჰიმნების ქვეყანა ეწოდოს — მაგრამ დღეს ნამდვილად ძნელი დასადგენია, რომელი მათგანი როდის ასრულებდა ამ საპატიო დანიშნულებას, რომელ მათგანს მღეროდა საქართველოს მოსახლეობა უფრო თავისუფლად და უფრო მეტი სიამაყით. გერბისა და დროშის მსგავსად, ჰიმნიც თანდათანობით, საუკუნეთა მანძილზე მკვიდრდება ხალხის ფსიქიკაში. ყოველი თაობა დედის რძესთან ერთად იწოვს მის ტექსტსაც და მელოდიასაც და, ამიტომაც, ჩვენგან განსხვავებით, ყოველთვის სიამოვნებით მღერის, თუკი ამის საშუალება ეძლევა. ასე რომ, თუკი რამე უნდა შეიქმნას ხელახლა, ალბათ — ჰიმნი. ჰიმნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხალხის შინაგანი პორტრეტია, საზეიმო აქტია მისი ყველაზე სანუკვარი ნატვრისა თუ ოცნების გამხელისა და ჩვენც ამ დიადი აქტის მონაწილენი ვხდებით სიტყვისა და მელოდიის ბუნებრივი, ძალდაუტანებელი, უფრო მეტიც, ღვთაებრივი შეუღლების წყალობით. სიტყვა ბადებს მელოდიას, რათა მელოდიამ ხელახლა დაბადოს ისიც, ახლა უკვე ფიცად, ლოცვად, რწმენად, თუ იმედად გარდაქმნილი. ეს, რა თქმა უნდა, ბედნიერი შემთხვევაა და სულ ერთია, როგორ მიიღწევა ამგვარი შეუღლება — ღია კონკურსებით, როცა ყველა ერთნაირად უფლებამოსილია სცადოს ბედი, თუ სახელმწიფო დაკვეთით, როცა წინასწარ ვუცხადებთ ნდობას ჩვენი გემოვნებისა და პოზიციის შესაბამისად შერჩეულ პოეტსა და კომპოზიტორს. ხალხი ან მღერის, ან არ მღერის უმისოდ შექმნილ ჰიმნს და ამით ამოიწურება მთელი მისი როლი ამ სახელმწიფოებრივ ღონისძიებაში. მაგრამ აუცილებელია, გარკვეული დროის მანძილზე, ეს ახალი ნაწარმოები (კონცერტების, რადიო თუ ტელე გადაცემების მეშვეობით) განუწყვეტლივ ახდენდეს ზემოქმედებას მის ფსიქიკაზე, რათა არა მარტო ტექსტი და მოტივი დაიმახსოვროს ახალი ჰიმნისა, არამედ შეისისხლხორცოს და გააცნობიეროს კიდეც, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი ფენომენი და, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება მისთვისაც მოულოდნელად, თანამზრახველად გაეღვიძოს თანამზრახველთა შორის.

26 იანვარი, 1997.

## მაშინ, როცა თბილისელები ეღირსნენ...

(დასასრული)

საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელი“ ყოველთვის და დღესაც დიდ ყურადღებას უთმობს ქვეყანაში მომხდარ ძვრებს, გულისყურით ეკიდება თბილისის მომავალ კეთილდღეობას. ამიტომ სინანულსა და აღშფოთებას გამოთქვამს უკანასკნელ ხანს პრესის ფურცლებზე წარმოჩენილ და დაწყებულ „კამპანიის“ გამო, რომელიც კვლავ დესტაბილიზაციისაკენ გვიბიძგებს, იგი მიმართულია სწორედ იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც სახელმწიფოებრივი კურსის ჭეშმარიტი გატარებისათვის თავს არ ზოგავენ, მთელ რიგ ღონისძიებებს განახორციელებენ, რომ თბილისს დაუბრუნონ სახე დედაქალაქისა.

საზოგადოება „თბილისელი“ აერთიანებს ხუთი ათასამდე მოქალაქეს, მათ შორის არიან ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანები — თბილისის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, სპორტსმენები, ახალგაზრდობა. ეს ის საზოგადოებაა, რომელიც გაჭირვების ჟამს ქვეყანას უშიშრად ედგა გვერდში, იცავდა თბილისის ქუჩებს, ხიდებს, ღირსშესანიშნავ ობიექტებს, მუზეუმებს და ხელოვანთა სახლ-მუზეუმებს. ომის დროს დასავლეთში გზავნიდა საჭირო მედიკამენტებსა და თბილეულს. ეს ის საზოგადოებაა, რომელმაც კოჯრის მიდამოებში სამშობლოსათვის თავდადებულ „კადეტებს“ ძეგლი აუგო, თბილისში გარდაცვლილ გერმანელ ტყვეებს სასაფლაო გაუკეთა, ამ საზოგადოების ქალთა საკრებულომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა. უდიდესი გაჭირვების ჟამს ქვეყანას ოქროს ფონდი შეუქმნა. ეს ის საზოგადოებაა, რომელიც თბილისის მომავალზე ფიქრობს. ამიტომ იგი წინ აღუდგება ყველაფერ ავს, რაც თბილისისადმი და მისი მოქალაქეებისადმი იქნება მიმართული.

მოგეხსენებათ, ქველმოქმედებას გაცხადება არ უყვარს, მაგრამ იმათ, ვისაც არ მოსწონთ ჩვენს ქვეყანაში დამყარებული წესიერება და დედაქალაქში სიმშვიდე, უნდა იცოდნენ, რას წარმოადგენს „თბილისელი“, უნდა იცოდნენ, რომ თბილისს რაც ეხება ჩვენი საფიქრალიცაა და სატკივარიც. თბილისისადმი სიავეს არ დავუშვებთ. თბილისელები ეღირსნენ იმას, რომ ქუჩაში შიშით აღარ დადიან, აღარ ესმით ავტომატების კაკანი, ბავშვების ეზოში თამაში მშობლებს აღარ აშინებთ, აღარა აქვთ შიში, რომ ქუჩაში ვიღაცა ავტომანქანას წაართმევს, და ამ განცდების შემდეგ თბილისის პოლიციის მიმართ და მისი უფროსის ღემურ მიქაძისადმი არასაკადრისი ილეთებით და ლანძღვა, პროვოკაციული ხასიათისაა, რადგან თბილისის პოლიციის შეფი დედაქალაქში უდიდესი პატივისცემით სარგებლობს. მისი საქმიანობის განუყრელი წესია კანონიერება და მისი დაცვა, რაც გამაღიზიანებელი აღმოჩნდა ზოგიერთებისათვის! ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ბატონი ღემურ მიქაძე თავდადებული კაცია, თბილისზე შეყვარებული, კაცთმოყვარე, მოფიქრალი თბილისის მოქალაქეზე თუ ლტოლვილზე, ხანდაზმულ ვეტერანზე თუ მეცნიერზე, კულტურის მუშაკზე, ხანდაზმულ სპორტსმენზე თუ ახალგაზრდაზე, თუ პატარა თბილისელ ბიჭუნაზე! ესაა ჭეშმარიტი პოლიციის შეფი! ასეთ კაცზე ოცნებობდნენ თბილისელები და დღეს ვიღაცას ეს აღიზიანებს, ცდილობს პროკაციული ქმედებებით თბილისს ჩამოაშოროს ქმედითი კაცი, რომელიც შეიყვარა დედაქალაქმა.

ბატონო პრეზიდენტო! ამიტომ გავგიჩნდა სურვილი მოგვეწოდებინა ჩვენი აზრი ამ მეტად უსიამო და სამშიშ საწყისზე.

გვწამს თქვენი გულწრფელი სიყვარულისა და დამოკიდებულებისა თბილისელების მიმართ, რომელიც მრავალგზის გამოგვითქვამთ.

საზოგადოება „თბილისელის“ გამგეობა.

საქართველოს რესპუბლიკა
№38. კვირა, 16 თებერვ[illegible]

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

### დარეჯან ბატიაშვილი

* * *

ამოხაცნობად მნელი არის წარწერა ქარის,
წარმოვიდგინე ხოშკაკალას დაბნევის სცენა,
კირთებას ჭკუა როდი ჰქონდა, ან სამართალი,
რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენმა წვენამ.

და იკლიბოკლი შეხამების ბრმა ნაპერწკალი
მმიმე წუთებში სადღაც უნდა გადაიკარგოს,
არავის უყვარს ქვეყანაზე ქარი ცვედანი,
სხვა თუ არავინ, ქარმა მაინც უნდა გიგანოს.

მე გავიგონე ბედისწერის ხმები წკრიალა,
გზაში კინწისკვრით მოვიშორე ფიქრი მდუმარე
მე რა ვიცოდი, ის წამწემედდა, ვინც მაზიარა
და შეაუვარა ჩემი თავი ბედის ვულკანებს.

მაინც კარგია, ჭირს რომ კოხტად შეილამაზებ,
ნაკვერჩხლებიდან შეაგროვებ ცეცხლის ნამწვავებს,
ვერ გაფრინდები, მაგრამ ფრთებს კი შეათამაშებ,
ერთფეროვნება შემოგიჭერს მხრებზე არტახებს.

თუმცა მანამდე რაღაც მაინც დაგეზმანება,
ჩამოღვენთილი, ისე როგორც სულის სარწეული
და საკუთარი უმწეობაც არ შეგზარდება,
თავს შეუმახებ და გგონია, ფონს ხარ გასული.

ამოხაცნობად როდი არის წარწერა ჩუმი,
როდესაც პირზე აკერია უტევი ფოლაქი,
სულ ამაოა ხეივანი ცრემლით ნაჟური,
ციხკენ ყურება, გარინდება და ფორიაქი...

ფეხდაფეხ მომდევს ხუნთქვა ასპიტის,
რაღაც საყვედურს ჩურჩულებს ნამჯა,
თითქოს და ვინმეს რამეს დავპირდი
და სიზმარივით ბალიშქვეშ დამრჩა.

ახლა რომ წუთთა წვიმით გავბეზრდე,
მაშინ თავს უფრო აიწევეტს ქარი,
მე შეიძლება ასჯერ ავკვნესდე,
მაგრამ ერთხელაც არ ვიყო ქნარი.

* * *

დრო ნაცრისფერი მოაგელვებს ჟამთა ულაყებს,
მაგრამ ყველაზე უთქმელია სანთლის ნაღვენთი,
ნაცრისფერი დრო ყოველივეს დაახურათებს
და ხვალინდელი დღე იქნება უფრო ნათელი.

გამიჭირდება სიარული მილის ზმანებით
და შემოდგომა ადრიანად დამიზამთრდება,
მომწონს კიდევაც, თუ სანდახან დავიზაფრები,
თუ შეუდგება ჟამი ქართან თავის გართმევას.

რად მაგონდება ასკინკილა და ბლის საყურე,
ან სის შამფურზე წამოცმული ჭერმის ფოთლები,
მე მავიწყდება, რომ მაღლიდან ღმერთი დამყურებს;
თუმც ბავშვობიდან თავს ამასვე შთავაგონებდი.

სინამდვილეში, სად რა ხდება, არავინ უწყის,
გვრემის ტალღებში მიმოდიან ჩრდილნი ლანდების,
ისე მომწყდება ფიქრი, როგორც ნაყოფი ყუნწში,
ნელდ შემახავით ირუქლება სულში სანთელი.

დროს ბრჭყალებიდან დაუსხლტება დანაპირები,
მაშინ, როდესაც არ მცალია ჩრდილის საძებნად,
ბედის სასწორზე დაუწევიათ მმიმე გირები,
ვიღაცამ ღმერთის უნებური სიტყვა გაბედა.

ყოველთვის ვგრძნობდი ბედის მალას ავაზებიანს
და არასოდეს არ ვყოფილვარ დანახვის ციცო,
ნაცრისფერ დროში ნაცრისფერი ქარაგმებია,
ფიქრი ფართოა, მაგრამ გზაა გრძელი და ვიწრო...

### მონა ვიყავ თავდაჯერების...

დამრიგებელი და მრჩეველი ბევრი მეოლია,
მაგრამ მე მუდამ მონა ვიყავ თავდაჯერების,
...ას ვერ ვიტყვი, თავზე ვინმე გადამეოლია,
...ილაზე მაღლა მეც ხომ მუდამ თავს ვაყენებდი.

...ოს ავქაშივით გადვუტეხე რვალი ჭენების
და გამკლავება მოვინდომე, მაგრამ ამაოდ,
ლამის კისერი წავიტეხე თავდაჯერებით
და საიდუმლოც ბედისწერამ აღარ გამანდო.

გავკარი კვესი და გავაპე ღამე უკუნი,
თავთან დავუდექ მოკრძალებით გაჩენილ სურვილს,
მესმოდა მხოლოდ გადახვეწილ დღეთა ფრუტუნი
და იგი ჰგავდა განვლილ გზაზე ქარიშხლის
მხუილს.

დასატოლებლად გავუწოდე ჩემს ბედს ავქაში,
თუმცა შევნიშნე გამარჯვების ღიმილი ტუჩზე,
ჩემი კრავივით უცოდველი დროსთან თამაში
გამიწბილდა და ახლა ისრად დამაჩნდა გულზე.

ისევ გამოჩნდა საიდანღაც იმედში ბზარი,
და ყველაფერი თავდაყირა დაეშვა თითქოს,
მაინც მინდოდა, ვყოფილიყავ ღმერთთან მართალი,
თუმც ყველაფერი ასახდენი სიზმარი იყო.

* * *

უხილავ გრძნობას დავემალები
და ქაშუეთთან გულს გავილაღებ,
იქნებ გავუგო იდუმალებას
და შემიყვარდეს ჩუმი სიმაღლე.

არ მიფიქრია ოღონდ იმაზე,
ჩემი გზა რამდენ მარყუჟს აიტანს,
დღისით შევხარი მხოლოდ მირაჟებს,
ღამით — ვარსკვლავებს, ცის მოზაიკას...

### ხომ შეიძლება

ხომ შეიძლება ასჯერ ავკვნესდე,
მაგრამ ერთხელაც არ ვიყო ქნარი,
რამ მოიყვანა ამ დილაბნელზე
ნამი ზეციდან ასეთი მქრქალი.

იქნებ ათრთოლდეს უეცარ ბიმგით
და გულმა სისხლის ცეცხლი გაყაროს,
ხომ შეიძლება მოსული სიმწრით
ეს სტრიქონებიც ვერ გავასარო.

შემომრჩენოდა მთის ლურჯი ფერდი
და ბრუნდებოდა, რაც მიჩნდა მთვარედ
...ა როგორც ცხადში მე ისე შევკრთი,
...ივს გამოვედი სიზმრიდან გარეთ.

### მაშ, იმან რა თქვას!

მაშ, იმან რა თქვას, უბედურმა, ლუკმაპურისთვის
რომ გაიწოდა სამათხოვროდ ფერმკრთალი ხელი,
იცის, რომ ხვალე მას არავინ პურს არ უყიდის
და მოგროვილ ფულს საცოდავი თვალით
დასცქერის.

შინ დაბრუნდები იმ მათხოვრის ლოცვით
გამთბარი,
და გგონია, რომ მართალი ხარ წინაშე ღმერთის,
აგეტუზება, აჩრდილივით ქალი გამხდარი,
მისი გულისთვის შეიძლება ინატრო ვერცხლიც.

ცის ტრამალებში გამეფებულ სხივთა დიდების,
მწვანე ბალახში კოხტად ჩაწნულ ყვავილებს გარდა,
როცა არსებობს მხგავსი ხევდის ქარახინებიც,
ღმერთს ევედრები, მიგიყვანოს საწუთროს კართან.

### ცივი ნივთები

ეს ნახეხხები დღეებიც ჩაქრა,
მიდის პირაღმა ჩემი მდინარე,
ერთ დროს ველტვოდი უხულო საგანს,
მოგვიანებით ესეც ვინანე.

ზოგჯერ სიკეთეს მიგებენ ცუდად
და ვეღარ ვალღობ გარეულ ყინვებს,
არ მემახიან ტყუილის გუდას,
მაგრამ ნაკლებად მიჯერებს ვინმე.

დრომ კი თვალები დაახამხამა
და წამწამები დახარა ქვევით,
ვინ ჩამიმატა ჩუმად სამხალა,
დაუკითხავად, თავისი ნებით.

აღარ გადაწყდა ბრძოლების ბედი,
გააწინწილა წუთები შფოთვის,
დროს რომ მოვერგო მეც შევეცდები,
თორემ მდინარე პირუკუ მიდის.

და ეს ბუნება თვითონ ლამაზი,
რაღად დამცინის უშნო სილჟვებით,
არაფერია გულის ბადალი
და რას მიქვიან ცივი ნივთები...

## მაკვანეთში ყველა მღერის

მაკვანეთში, გურიის პატარა და ლამაზ სოფელში, მრავალი ნიჭიერი ხელოვანი აღზრდილა. ამბობენ, მაკვანეთში ყველა მღერისო. ყოველ შემთხვევაში, თითზე ჩამოსათვლელია მაკვანეთელი, რომელიც ვერ მღერის.

აქ, ამ მიწაზე იშვნენ გურული ხალხური სიმღერების ოსტატები: ძმები არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილები. აი, რას ამბობს ხალხური სიმღერების დიდოსტატი და ქომაგი ანზორ ერქომაიშვილი: „გურული ხალხური სიმღერა იშვიათი მოვლენაა ქართულ ხალხურ ფოლკლორში. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიოს ხალხურ შემოქმედებაში, რაც გამოწვეულია ამ სიმღერების პოლიფონიით, ჰარმონიით, ურთულესი ფაქტურით, ცალკეული ხმის სირთულით, იმპროვიზაციით“...

ამას წინათ შევხვდი ჩემს ძველ მეგობარს, ანსამბლ „ელესას“ ხელმძღვანელს ამირან თოიძეს და გულახდილად ვისაუბრეთ.

— შრომასაც და სიმღერასაც



სურათზე: ანსამბლი „ელესა“

სულმნათმა მამაჩემმა ლუკამ და დედაჩემმა ანეტამ მაზიარესო — მითხრა და სახლში შემიძღვა.

— ბატონო ამირან, ყველა საქმეს, კარგსა და ცუდს, თავისი ფუძე უძევს, ახლა „ელესაზე“ მინდა ვისაუბროთ, ამ ქორის ბუდის ოდენა სოფელში ნასწავლმა „ხასანბეგურამ“, „ალიფაშამ“ და სხვა სიმღერებმა როგორ გააოცეს ცხრა ზღვას გაღმა მყოფი ამერიკელები?

— დასაბამიდან უნდა დავიწყო: დედაჩემი ანეტი გურული ფოლკლორული მუსიკის ფუძემდებლის არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილების და გახლდათ. თავად შესანიშნავი მომღერალი იყო. ჰოდა, დედაჩემი ხშირად მეტყოდა — შენ, ჩემო ბიჭუნი, აკვანშიაც გვარიანად მღეროდიო. მეგობრებიც მეხუმრებიან, სიმღერაში გაჩენილი ხარ და იმღერებ, აბა როგორ გინდაო. როცა წამოვიზარდე აჭარის ეთნოგრაფიულ გუნდში შევედი. ამ გუნდს ბიძაჩემი არტემ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა. აქედან დაიწყო ჩემი ნათლობა. როგორც ხედავთ, ბევრი ვიარე თუ ცოტა, ამჟამად ანსამბლ „ელესას“ ვხელმძღვანელობ.

თავდაპირველად გურული ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“ დააარსა საქართველოს დამსახურებულმა მოღვაწემ ვლადიმერ ერქომაიშვილმა 1978 წელს. შეიძლება ითქვას, რომ მისი ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ გურული სიმღერა თითქმის დავიწყებას ეძლეოდა. როგორც იტყვიან, სულზე მიუსწრეს. 1984 წლიდან „ელესას“ სათავეში ჩავუდექი და გურული კრიმანჭულით მსოფლიო შემოვიარეთ.

1987 წელს მოსკოვში ხალხური სიმღერების საკავშირო დათვალიერებაზე „ელესას“ თექვსმეტივე წევრმა ოქროს მედლები დაიმსახურეს. რესპუბლიკურ შეხვედრებზე ხომ პირველობას არავის ვუთმობდით.

ასე იყო თუ ისე, ბოლოს ვაშინგტონში ამოვყავით თავი და მსოფლიო ფოლკლორული ფესტივალის ლაურეატები გავხდით.

ამირანმა მოგვითხრო გურული ხალხური სიმღერების ბრწყინვალე წარმომადგენელთა შემოქმედებით ღვაწლზე. სამუელ ჩავლეიშვილი, გიორგი ბაბილოძე, ნესტორ თოიძე, გიგო ერქომაიშვილი, „ელესას“ მომღერლები — თექვსმეტივე ჩინებული ბიჭები არიან. მათ არ აკლიათ ქებადიდება და მაყურებელთა ხანგრძლივი ტაში.

ამირანის ოჯახის წევრები ყველანი სანაქებოდ მღერიან. მღერის ორთავე ვაჟი — ბადრიც და დევიკოც. ბადრიმ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა. ამჟამად თბილისის №3 სამუსიკო სასწავლებელში საგუნდო კათედრის გამგეა, ამავე დროს რუსთავის სახელმწიფო ანსამბლში მოღვაწეობს. დევიკო კი სოფლის საშუალო სკოლის დირექტორია.

ამირანის ოჯახის წევრების ხმატკბილ სიმღერებს ვინც მოისმენს, უთუოდ მოიხიბლება.

ამირანის ბადიშებმა ნუნუმ და მარიკამ წკრიალა ხმით, ძველი ხალხური სიმღერა „დიდი ხნიდან გაგიცანი“ წამოიწყეს. მათ აჰყვა ოჯახის ყველა წევრი. კაცი ვერ გამოარჩევდა, რომელი უკეთესად მღეროდა: ბაბუა, ბებია, შვილები თუ შვილიშვილები. ერთი სიტყვით, შვენის „ელესას“ თავკაცს მუსიკალური ნაგრამი.

ბოლოს ამირანმა თავისი ხელით გათლილი თუთის ხის ჩონგური აამღერა...

არც იმის უთქმელობა იქნება, რომ მაკვანეთში „ელესას“ საუკეთესო მემკვიდრენი ჰყავს. ეს გახლავთ მაკვანეთის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ანსამბლი, რომელმაც შარშან რესპუბლიკურ სასკოლო ფესტივალზე პირველი ადგილი დაიმსახურა. ამ ანსამბლს ნიჭიერი ხელმძღვანელი გელა ცელაძე და მისი მეუღლე აზა ცელაძე ხელმძღვანელობენ. ასე რომ, სიმღერა გრძელდება. ხალხურ ხელოვნებას გადაშენება არ უწერია.

**ბეგლარ ჩხაიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პიროვნება

# შენ კი გენაცვალე, ოთარ გაბელაშვილო!

(დასასრული)

დღეს მათხოვრობა პროფესიად იქცა, ნუ ვიტყვით, რომ მხოლოდ გაჭირვებამ შექმნა ეს უბედურება, მხოლოდ გაჭირვებამ...

მსოფლიო ომის მომსწრე ვარ, რამდენჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ – მე მაშინ ქართველი მათხოვარი არსად შემხვედრია! რატომ? იმიტომ, რომ ერთმანეთს უვლიდნენ, მეზობელი მეზობელს მფარველობდა, ნათესავი ნათესავს ლუკმას უყოფდა.

ყველაფერი საკუთარი ჯიბისკენ მიაქვთ. „რასაცა გასცემ შენიაო“, ისმის, გაცემაზეა საუბარი, იმ გაცემაზე კი არა, ერთმანეთის გაცემა რომ ვიცით და ბოლოს, ბევრმა სამშობლოც რომ გასცა და გაჰყიდა, არა, ლუკმის გაყოფაზეა ლაპარაკი, „რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულიაო“, ბრძანებს დიდი რუსთაველი, „რას არა, ისიც შენიაო“ ხომ არ უთქვამს?

შორს წაველი, მე სულ სხვა რამეზე მინდა გელაპარაკოთ, იმ კაცზე, ვინც რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გმირივით იცის: „რასაცა გაჰსცემ შენია, რას არა, დაკარგულია“.

ოთარ გაბელაშვილი – დიდი ქართველი, ნაღდი თბილისელი მეტალურგი, ექიმი, ჩემი ძმაკაცი, მე [illegible] თორემ, ჩემზე ახლო მეგობრები ჰყავს... თბილისში თუ ვინმე კაი კაცს მოინატრებთ, შეიარეთ ოთარ გაბელაშვილის ოროთახიან კლინიკაში და იქ ნახავთ:

ორი პაწაწინა ოთახი აქვს, თავისი დის ნაქონი, ერთი ოთახი თორმეტი კვადრატული მეტრია – მოსაცდელი გახლავთ, იქ არც ერთი კაცი არ მოვა, მეორე მომსვლელს რომ არ იცნობდეს, მეორე ოთახი ათი კვადრატული მეტრია და მასში ექიმის სავარძელი დგას. მოსაცდელი ოთახის ორი კედელი მორთულია შესანიშნავი ქართველი მხატვრების ნამუშევრებით, ესაა უძვირფასესი გამოფენა, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, „ქრთამად“ აქვს მიღებული ყოვლად არაკორუმპირებულ ექიმს.

არც ერთი მონადირე მწყრისა და კურდღლის კვალს ისე არ მიჰყოლია, როგორც ოთარ გაბელაშვილი გაჰყვა მამის კვალს. რა უნდოდა? – დიდებული მეტალურგი გახლდათ, მეცნიერი, ინსტიტუტში პრესტიჟული თანამდებობა ჰქონდა, ბრძანდებოდა სავარძელში მორთმულად..

არა, მაინცდამაინც ის სავარძელი ამჯობინა, მამა რომ ემსახურებოდა – ყველას მამა და მარჩენალი, შესანიშნავი ხელოვანი, დიდი მოქალაქე – იმ სავარძლისკენ გაუწია გულმა და ახლა იქაა, მისი მეტალურგიაცა და ხარისხთა ალმატებულება.

აქ, ამ მოცუცქნულ პატარა სახლში, ხშირ შემთხვევაში, მოდიან ჩიფჩიფით, მოდიან ტუჩებზე ხელაფარებულნი, დარცხვენილნი და მიდიან რიხით მოლაპარაკენი, თამამნი და პირმშვენიერნი.

ერთმა ხანშიშესულმა ქალბატონმა მკითხა: – ბატონო ჯანსუღ, თემო ჩირგაძე და გიგა ლორთქიფანიძე თქვენი რა არისო? – არაფერი, ქალბატონო, სამივეს ოთარ გაბელაშვილმა ჩაგვისვა კბილები და ერთნაირად ვიღიმებით-მეთქი.

– „ნე მოჟეტ ბიტო“, მითხრა და... ორი კვირის შემდეგ რომ შემხვდა, უკვე ახალგაზრდულად გამოიყურებოდა და ზუსტად ისე იღიმებოდა, როგორც გიგა ლორთქიფანიძე...

ოთარმა საოცარი შეხედრა იცის. შეხვალ თუ არა, მოგაყვირებს: „ვაა, შენ კი გენაცვალე, სადა ხარ, თუ არაფერი გეტკინა, აღარ გახსოვარ?“

ერთ დღეს მივედი, მოვიკითხე და წამოსვლისას მითხრა: – თუ ძმა ხარ, ხვალ აუცილებლად მოდი, ჩიჩიკამ დარეკა, კაი პურმარილითა და ლუდის რამეებით მოდის, კაი ბიჭები იქნებიანო...

– ვახ, არც მაგისთვის გამოგირთმევია ფული? – მივაძახე კარებიდან და წამოვედი.

იმ დღეს, ვერ მივედი, მეორე დღეს ვესტუმრე, ისევ შემძახა:

– ვაა, შენ კი გენაცვალე შენა, რატომ მიღალატე, გუშინ სად იყავიო...

– ქორწილში ვიყავი და ვერ მოვედი – მეთქი.

– ქორწილში რა ხდებოდაო...

– არაფერი, 100 კაცი იჯდა და აქედან ოთხმოცი შენს მიერ ჩასმული კბილებით ჭამდა ხაშლამას-მეთქი.

ბევრი იცინა. ვისაც ოთარ გაბელაშვილის სიცილი არ უნახავს და არ მოუსმენია, ბევრი დაჰკლებია. ყველა მისი პაციენტი დღეს იმასავით იცინის, რა ენაღვლებათ, ლამაზი და ჩაკიწკიწებული კბილები არა აქვთ თუ რა?

ერთხელ, პარლამენტის სხდომაზე, ერთმა პარლამენტარმა ცუდად იხუმრა. შესვენებაზე გვერდზე გავიყვანე და ვუთხარი: წამო ძმაო, ოთარ გაბელაშვილთან მიგიყვან, კბილებს ჩაგისვამს და უკბილოდ აღარ იხუმრებ-მეთქი. დღემდე ის კაცი უკბილო ხუმრობებს აფრქვევს, იმიტომ, რომ არ წამომყვა ოთარ გაბელაშვილთან. ვისაც გაბელაშვილის ჩასმული კბილები აქვს, ის უკბილოდ არ ხუმრობს...

ერთი პერიოდი მოიწყინა თემო ჩირგაძემ, აღარ იყო ხუმრობის ხასიათზე, მივიდა ოთარ გაბელაშვილთან, დაიმშვენა სახე ძველებურად, დადგა ხუმრობის ხასიათზე, ხმაში რიხი ჩაუდგა, ბოლოს იმდენად გახალისდა, იმდენად დაიბრუნა ძველი ფორმა, რომ თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

ბატონებო, ისე არ გამიგოთ, რომ ვისაც ოთარ გაბელაშვილი უმკურნალებს, ყველას თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩევენ, მაგრამ ერთს კი მოგახსენებთ: გვარსა და სახელს ნუ მათქმევინებთ, ოთარ გაბელაშვილის ერთმა პაციენტმა 70 წლის ასაკში შეირთო 60 წლის მშვენიერი ქალბატონი. ახლა თუ იცით, რატომ არ ვამხელ იმ 70 წლის პაციენტის ვინაობას? იმიტომ, რომ იმან რომ მშვენიერი ქალბატონი შეირთო, თურმე იმისთვისაც ოთარ გაბელაშვილს ჩაუსვამს კბილები. მეჯვარეს არ იკითხავთ? მეჯვარედ გივი მინდელი და ნუკრი ნემსიწვერიძე ჰყოლიათ, ესენიც ხომ ოთარ გაბელაშვილის მოსაცდელი ოთახის წევრები გახლავან...

ოთარ გაბელაშვილი დიდად განათლებული პიროვნებაა, სავსე იუმორით და მეგობრებით, სავსე სიყვარულით და ერთგულებით, გული ბოლომით არა აქვს სავსე, ჯიბე ფულით არა აქვს სავსე – უყვარს, ძალიან უყვარს თავისი მეუღლე, უყვარს ოჯახი და ალაზანზე გასვლა სათევზაოდ, მეგობრებთან ერთად ორი საათი თევზაობს და ორი დღე „უზერავს“...

არც ერთი თანამედროვე აკადემიის წევრი არ არის ოთარ გაბელაშვილი. ერთხელ, ვიღაც კაცი ახსენეს თავისი მეცნიერულ-პროფესიული წოდებებით. ოთარმაც უცებ შეჰკივლა – „არ გადამრიოთ, ნუთუ მართლა პროფესორიაო?!

ახლა, ჩვენში დარჩეს და, ვთქვათ, რომ ხარ ახალგაზრდა კაცი, გაქვს მეცნიერული ხარისხი და არა გაქვს კბილები, რად გინდა?

ვთქვათ და, გაქვს დიდი თანამდებობა და, არა გაქვს კბილები – ივარგებს?

კარგი პოეტი ხარ? კარგი მხატვარი ხარ? კარგი მუსიკოსი ხარ? (ცუდი არაა ოთარის საქმე, საერთოდ კარგი ხარ და თავს იმართლებ: კბილები არა მაქვს, მაგრამ არც ფული მაქვსო?...

– შე კაი კაცო, თუ მხოლოდ ეს გაფერხებს, მიდი ოთარ გაბელაშვილთან და თუ ნაღდი ხარ, ულვაში შემირცხვეს, თუ რამეზე გალაპარაკოს!..

ერთხელ (და არა ერთხელ) ოთარ გაბელაშვილი საოცრად შეწუხებული დამხვდა: ჯანსუღ, ხალხს გაუჭირდა, ძალიან გაუჭირდა და თუ ასე გაგრძელდა, ველარ გავუძლებო. მერე ისევ ჩვეული იუმორი მოიშველია და, – თუმცა, კაცს თუ საჭმელი არ ექნა, კბილები რა ფეხებად უნდაო, – დაამატა. ჩამოვიარე მთელი რუსთაველი და გული გასივდა, როგორც დავასკვენი, მათხოვარს ისევ ღარიბი თუ მიუგდებს ხურდას, თორემ მდიდარი არაფრის გამცემი არ არისო... ასეთ ცუდ ხასიათზე ოთარ გაბელაშვილი იშვიათად მინახავს.

დიდი სამძო ჰყავს ოთარ გაბელაშვილს თბილისში, ოჯახის შემდეგ, თბილისელების სამძო მისი ინტელექტუალური და ზნეობრივი საკუთრებაა, ეს სიმდიდრე ოჯახიდან გადმოეცა.

ეკლესიასავით ოჯახი აქვს, თითქოს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ორგანულად შერწყმული, დაბადებით თავისუფალია და კარგად იცის, რომ „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუხებელია“.

ოთახში ყველაფერი ერთმანეთთანაა მიკუჭული, კაცი რომ სავარძელში ზის და პირს დააფჩენს, შეიძლება შენც ჩახედო ხახაში, ეტყობა ვიღაცამ ესეც იკისრა და, ახლა რომ მივედი, ის პატარა ოთახი უკვე ფარდით იყო გადატიხრული.

ოთარის ცხოვრებაში ყველაფერი კონსტიტუციურადაა დაცული, რასაც პარლამენტს აბრალებს... ერთ დღეს ერთი ძველი პარლამენტარი მოადგა. მისი წასვლის შემდეგ ოთარმა თქვა: საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში წერია: საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელიაო, თორემ რა დასატოვებელია ეს კაცი საქართველოშიო.

გავიდა ხანი და, ვერ მოვიცალე ოთართან მისასვლელად, ადგა და თვითონ დამირეკა. ჯანსუღ, სად დამეკარგე, დღეს აუცილებლად მოდი, საქმეს რომ მორჩები, სამიდან ოთხამდე გელოდებიო, შენი წიგნი მაქვს, მოდი ხელი უნდა მოგაწერინო, ხომ იცი, რომ მიყვარს შენი ლექსებიო.

ეჰ, აქაც მაჯობა-მეთქი, გავიფიქრე და სასწრაფოდ გავამზადე ჩემი ლექსების ერთი ძველი გამოცემა (ახალს ვინ მომაშავებს). წიგნს წავაწერე: ოთარ, შენ კი გენაცვალე მზის ამოსვლიდან – მზის ამოსვლამდი.

მოხუცს ღუთიან თუ
უმძაკუბიან,
უბილოხა თუ მოხუცს უმკუბით,
სულულას როგორ უმაძრები და
სულულას როგორ უნუგუმები.

მივედი და, რას ვხედავ, გაწყობილ სუფრასთან, ჩემი მონატრებული თბილისელები სხედან – მტკვრის ციმორზე და გულისყვევლზე კბილებდალესილი ოთარ გაბელაშვილის მეგობარი პაციენტები. არც ერთი უკბილო ხუმრობა არა მსმენია სუფრასთან, იცინოდნენ და არავის კბილი არა ჰქონდათ, სიცილით კი ძალიან გაედნენ ერთმანეთს...

შენ კი გენაცვალე, ოთარ გაბელაშვილო!

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

11 თებერვალი, 1997 წელი.

## მუზა

# „ბასტი-ბუბუდან“... „კოლაჟამდე“,

## ანუ ადამიანები, რომელთაც საოცრად უყვართ ხელოვნება

იმ დროს, როცა ძალიან უჭირდა კულტურას, დაარსდა სტუდია „ბასტი-ბუბუ“, რომელიც ქორეოგრაფებისა და ბავშვების დაუღალავი, უანგარო შრომის შედეგად სულ მოკლე ხანში ერთ-ერთი საუკეთესო სტუდია გახდა.

„ბასტი-ბუბუს“ პროგრამები დასაბამიდანვე პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ გავიდა წლები და ის ნიჭიერი მოზარდები, რომლებმაც გადააბიჯეს სტუდიის წევრი ბავშვებისათვის დასაშვებ ასაკობრივ ზღვარს, როგორც იტყვიან, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. და სწორედ აქ გამოჩნდა განსაკუთრებით ხელშესახებად „ბასტი-ბუბუს“ სტუდიის ქორეოგრაფების თამუნა ნიკოლაძისა და პავლე სადირინის პროფესიული ალღოც, შრომისმოყვარეობაცა და ორგანიზატორული ნიჭიც, რომლებმაც ანსამბლი „კოლაჟი“ ჩამოაყალიბეს.

– რამ განაპირობა „კოლაჟის“ დაარსება და რა გეგმები გაქვთ მომავლისათვის? – ამ კითხვაზე ვთხოვე პასუხის გაცემა „კოლაჟის“ ხელმძღვანელს, ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის სოლისტს, მოცეკვავე პავლე სადირინს.

– ანსამბლის რეპერტუარი, – თქვა მან, – მრავალფეროვანია. მისი ძირითადი მიზანია თანამედროვე ცეკვების, შოუ-ბალეტის გავრცელება საქართველოში. ბავშვებს საშუალება ეძლევათ, შეისწავლონ სხვადასხვა სახის ცეკვები: კლასიკური ბალეტი, სტეპი, ტექნო, როკ-ენ-როლი თუ სხვა. სწორედ აქედან გამომდინარეობს ანსამბლის სახელწოდებაც. ამ სახის ანსამბლი ერთადერთი და პირველია საქართველოში...

შოუ-ბალეტ „კოლაჟის“ დაარსება თავისთავად გარკვეული ექსპერიმენტია, რომელიც, შეიძლება ითქვას, წარმატებული გამოდგა. თავად განსაჯეთ – იმის მიუხედავად, რომ „კოლაჟი“ ახალშექმნილია, უკვე საკმაოდ ხელშესახები შემოქმედებითი მიღწევები აქვს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ „კოლაჟმა“ პირველი ადგილი დაიკავა საბავშვო სატელევიზიო ფესტივალში „ოქროს მუზა“. აღსანიშნავია ისიც, რომ ანსამბლი დღესდღეობით წმინდა ქორეოგრაფიული განხრისაა, მომავალში კი აპირებს ცეკვისა და სიმღერის შერწყმას.

ანსამბლის ხელმძღვანელებს ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი მიზანი აქვთ დასახული, რომლის მისაღწევადაც ძალ-ღონესა და გამოცდილებას არ იშურებენ, მაგრამ ჯერჯერობით თითქმის ყველაფერი ენთუზიაზმის ხარჯზელა კეთდება – საჭიროა თანხები, სათანადო მატერიალური ბაზა. სხვა პრობლემებიც არის, მაგრამ ანსამბლის წევრებისა და მისი ხელმძღვანელების საოცარი მონდომება, ენთუზიაზმი, შემოქმედებითი წვა გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ „კოლაჟი“ უთუოდ მიაღწევს საწადელს და ახალი წარმატებებით გაახარებს ხელოვნების თაყვანისმცემლებს.

პირადად მე, მათთან შეხვედრის შემდეგ, ეს მჯერა და სწორედ ამ რწმენით მინდა ვუსურვო „კოლაჟს“ ყველა სიძნელის დაძლევა, ახალი წარმატებები და... მათი საკადრისი გულშემატკივარი სპონსორის მალე გამოჩენა.



**მაკა ცნობილაძე,**

ბესიკ კეზერაშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკა
№38, კვირა, 16 თებერვალი, 1997 წელი

# როცა გაფრთხილება არ შველის, მაშინ კანონი იმოქმედებს

მიუხედავად არა ერთი გაფრთხილებისა და გატარებული ღონისძიებებისა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კვლავ ადგილი აქვს უკანონო მიმღებ-გადამცემი მოწყობილობებით სარგებლობის, რადიოელექტრონულ საშუალებათა უნებართვო შეძენის, დამონტაჟების და ექსპლუატაციის წესების დარღვევას, ხშირია რადიოსატრანსლაციო, სატელევიზიო და საეთერო-საკაბელო ტელევიზიის ქსელების მოწყობა ყოველგვარი რეგისტრაციისა და ნებართვების გარეშე როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ (ზოგიერთი ძალოვანი სტრუქტურებიც კი), რომლებიც მუშაობენ თვითმიკუთვნებულ სიხშირეებზე, ქმნიან ქაოსს ეთერში და იწვევენ ოფიციალურად გამოყოფილ სიხშირეებზე მომუშავე ორგანიზაციების სამართლიან საჩივრებს.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომლებიც არაერთხელ იქნენ გაფრთხილებულნი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, კვლავაც განაგრძობენ შემთხვევითი პირებისაგან უკანონოდ (კონტრაბანდის გზით) შემოტანილი რადიოტელეფონების ექსპლუატაციას, რომელთა უმრავლესობის ტექნიკური პარამეტრები არ შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო ელექტროკავშირის მიერ რეკომენდირებულ პარამეტრებს, რითაც ფაქტიურად ხელს უშლიან რადიო-ტელემაუწყებლობის, საჰაერო ნავიგაციის ნორმალურ ფუნქციონირებას, უქმნიან დიდ საშიშროებას სხვადასხვა მფრინავი აპარატების მოძრაობას საქართველოს საჰაერო სივრცეში და მრავალი სხვა; მაგალითისათვის, აღვნიშნავთ, რომ მარტო 1996 წელს შესაბამის სამსახურებთან ერთად ჩამორთმეული იქნა 100-ზე მეტი უკანონო, როგორც რადიო-სატელევიზიო, ასევე სხვადასხვა დანიშნულების მიმღებ-გადამცემი მოწყობილობანი, რომლებიც ქმნიდნენ ქაოსს ეთერში.

დებულებაში, რომელიც მიღებულია მთავრობის № 535 დადგენილებით („საქართველოს ტერიტორიაზე რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების საზღვარგარეთიდან შემოტანის შესახებ“) აღნიშნულია, რომ საქართველოს სიხშირეთა განაწილების სახელმწიფო კომისიის და მისი შესაბამისი სამსახურის ნებართვის გარეშე აკრძალულია რადიოელექტრონულ საშუალებათა და მაღალსიხშირულ მოწყობილობათა შემოტანა-ექსპლუატაცია და ტრანსპორტირება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, კვლავ ადგილი აქვს, როგორც ცალკეული პირების, ასევე ორგანიზაციების მიერ აღნიშნული აპარატურის უნებართვო შემოტანას და მისი ექსპლუატაციის ფაქტებს.

სიხშირეთა განაწილების სახელმწიფო კომისია, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები მოუწოდებენ ყველას, მიუხედავად უწყებრივი სტრუქტურისა, რომლებიც სარგებლობენ სიხშირეთა სპექტრით, არ დაუშვან უკანონო რადიოელექტრონული საშუალებების ექსპლუატაცია და უზრუნველყონ მიმდინარე წლის 1 მარტამდე მათ ხელთ არსებული ელექტრონული საშუალებების რეგისტრაცია და ნებართვების მიღება, ხოლო ყველა აღნიშნული ფაქტის აღმოსაფხვრელად და ეთერში სათანადო წესრიგის დასამყარებლად ტარდება და კვლავაც გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ ყველა უკანონო (უნებართვო) რადიოელექტრონული აპარატურის ჩამორთმევას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო.




იყიდება გამსახურდიას გამზირზე დიდი (250 $м^2$) ბინა, II სართულზე, ნაწილობრივი დუპლექსი, ნახევრადგარემონტებული, 7 ოთახი, სამი სველი წერტილი, დიდი ლოჯიით და სამზარეულოთი, გარაჟით, ავტონომიური გათბობის სისტემით. ძალიან კარგია ოფისისთვისაც. ტელ: 37-77-72.

იყიდება ერთოთახიანი, იზოლირებული, ტელეფონიანი ბინა გრძელი აივნით, ვაჟა-ფშაველას გამზირის მხრიდან, VI კვარტალი, ფასი შეთანხმებით. ტელ: 30-25-81.

იყიდება სამოთახიანი იზოლირებული, ინდივიდუალური პროექტის ბინა ქ. ხაშურში, ფასი 2 500 დოლარი. ან იცვლება ქ. თბილისში 1,5 ოთახზე. მსურველმა მიაკითხოს ქ. ხაშურში ჩაიკოვსკის ქ. № 1-ში (პატარა ბაზართან). ავთო.

ვაქირავებ ქალაქის ცენტრში, ლერმონტოვის ქუჩაზე 300 კვ. მ. ფართობის გარემონტებულ ნახევრადსარდაფს ტელეფონით ოფისისათვის, საწყობისათვის ან სხვა დანიშნულების ობიექტისათვის. დარეკეთ: 94-09-48, საღამოს საათებში.

ვაქირავებ ერთ ოთახს თავისი ლოჯიით, სამზარეულოთი და სათავსოებით, ტელეფონით (ბინა ოროთახიანია, 1 ოთახი დაკეტილია) VI სართულზე, საბურთალოს ქუჩის დასაწყისში. ფასი შეთანხმებით, დარეკეთ: 37-31-97; 36-40-87, იკითხეთ აგრაფინა.

იყიდება საკუთარი ბინა ბელეტაჟზე; სამი ოთახით, ლოჯიით, სამზარეულოთი და ტელეფონით. 55 კვ.მ. სათავსოებით. აქვს პატარა ბაღი ხეხილით. მისამართი: ნაძალადევის რ-ნი, კ/თ. „საქართველოსთან“. საწყისი ფასი 14 000 დოლარი. ტელ: 60-73-12. დარეკეთ საღამოს საათებში.

ქირავდება მარჯანიშვილის ქუჩაზე კომფორტული, იზოლირებული, გარემონტებული ოროთახიანი ბინა ტელეფონით. ბინა არის მაღალ ბელეტაჟზე, 80 კვ.მ. ფართით. აქვს რკინის კარები, გისოსები, საკუთარი გათბობა, სარდაფი 40 კვ. მანქანის დასაყენებელი ადგილი. ტელ: 22-50-25, ფასი 300 დოლარი.

ვაქირავებ ოროთახიანი ბინის ერთ ოთახს გოგონასათვის, მისამართი: გლდანის I მ.რ. მე-9 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, ბინა – 45, ტელ: 67-45-64, ელისო.

ქირავდება ვაკეში ოფისისათვის, უნივერსიტეტის პირდაპირ სამოთახიანი ბინა 100 კვ.მ. ფართით, მე-2 სართულზე, ტელეფონით, ცხელი წყლით. ფასი 650 დოლარი. ტელ: 22-65-33.

ქირავდება სამოთახიან ბინაში ერთი ოთახი მეტრო „წერეთელთან“. არის ცხელი წყალი, ტელეფონი 34-04-05, ეკა.

იყიდება 3-ოთახიანი, ჩეხური პროექტის, კუთხის ბინა, კაპიტალურად გარემონტებული, 9-სართულიანი სახლის მერვე სართულზე, ვაზისუბნის მე-2 მ/რ-ში, 2 კორპუსი, ბინა 51. ფასი შეთანხმებით. ტელ: 74-36-62.

იყიდება კარგად გარემონტებული, ოროთახიანი ბინა ვაკეში, გარაჟითა და სარდაფით, ბინა ჩასმულია მთლიანად ხის კარადებში, აბაზანა და ტუალეტი (ცალ-ცალკეა) მოპირკეთებულია კაფელით. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ყიფშიძის ქ. № 8. I სად. მე-6 სართული, ბინა 17. ტელ: 29-12-65.

იყიდება სამოთახიანი, გარემონტებული, კუთხის ბინა ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტალში, მე-3 კორპუსში, რვასართულიანი სახლის მე-6 სართულზე, ტელეფონით, მომატებული ლოჯიით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 30-24-21.

იყიდება ოროთახიანი, მაღალჭერიანი ბინა მეტრო დელისის თავზე, მე-3 სართულზე, ორი აივნით, ტელეფონით, რკინის კარებით, სარდაფით, გოგირდოვანი ცხელი წყლით. ფასი 20 000 დოლარი. ტელ: 64-64-39 ან 39-40-73.




ქირავდება ოროთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა მარჯანიშვილზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 37-74-71.

ვაქირავებ ოროთახიან სუფთა ბინას ლოჯიით, ტელეფონით, ავეჯით მანქანის დასაყენებელი ადგილით. მეტრო სამედიცინო ინსტიტუტთან ხუთსართულიანი სახლის პირველ სართულზე. ფასი 200 დოლარი. ტელ: 37-23-78 ან 37-29-73. მიხეილი.

ქირავდება უცხოელებზე 50 კვ.მ. იზოლირებული ბინა ქალაქის ცენტრში (ბინა გამოიყენება საოფისედ). ფასი შეთანხმებით. 93-28-01.

იყიდება ოროთახიანი ბინა მეტრო წერეთელთან, კარგად გარემონტებული, რვასართულიანი სახლის მე-6 სართულზე, კედლებში ჩადგმული კარადებით, კარ-ფანჯრები და კარადები კოპიტისაა. ტელეფონით, სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. ფასი 22 000 დოლარი. ტელ: 35-24-22.

იყიდება ოთხოთახიანი ჩეხური პროექტის, ნახევრად გარემონტებული, პრივატიზებული ბინა, გამოცვლილია პარკეტი და სანტექნიკის მილები. რკინის კარებით, სარდაფით, ავტოფარეხით. ფასი 16 000 დოლარი. მის. ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი 25, I სადარბაზო, ბინა 21. (მოსკოვის პროსპექტის ბოლოს).

სასწრაფოდ იყიდება [illegible]სართულიანი კერძო სახლი [illegible] ოთახით. საკუთარი ეზოთი, ორი ავტოფარეხით, ტელეფონით. უმაღლესი ხარისხის რემონტი, ორი ბუხარი – მარმარილოთი მოპირკეთებული. საწყისი ფასი: 10 000 ლარი. ქ. რუსთავი. ტელ: 14-29-47. იკითხეთ კახა.

## სხვადასხვა

იყიდება დიდი ზომის იტალიური წარმოების 2-სართულიანი მასიური ბრინჯაოს ჭაღი ბროლის მოსართავებით – ერმიტაჟის ერთ-ერთი ჭაღის ასლი, საწყისი ფასი 4 ათასი დოლარი. ტელ: 37-68-61, 37-06-96.

ვამზადებ ინგლისურ ენაში მოწაფეებს, სტუდენტებს და ასპირანტურაში შემსვლელთ. გამონაკლის შემთხვევაში ბინაზე მისვლით. გთხოვთ, დარეკოთ. ტელ: 37-11-62, მარინე.

იყიდება ახალი აკორდეონი „აკორდი“ 80 ბანიანი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-11-06.

იყიდება პოლონური წარმოების 2 მ. სიმაღლის ტურისტული კარავი (6 კვ. მ. ფართობის წყალგაუმტარი იატაკით და ამავე ფართობის ავტოსადგომით). ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-11-06.

ვამზადებ მოწაფეებს ინგლისურ ენაში ბინაზე მისვლით, შეღავათიან ფასებში. მსურველებს ვთხოვ დარეკოთ ტელ: 93-10-04, თამუნა. 15 საათის შემდეგ.

იყიდება ყავისფერი, პალიროვკიანი, ბულგარული, საძინებელი გარნიტური. დარეკეთ: 66-25-18 (მიშა).

იყიდება სამზარეულოს თეთრი, ემალის თუჯის ორსექციიანი კარადარაკოვინა. ფასი 250 ლარი. ჩეხური წარმოების ბროლის ბრა, ფასი 150 ლარი. ჩეხური წარმოების ერთნათურიანი ორიგინალური ჭაღი, ფასი 100 ლარი. 39-37-02.

იყიდება ტრაქტორის მარაგნაწილები შეღავათიან ფასებში. 30-00-25, ნუგზარი.

იყიდება საძინებელი „Карельская береза, птичий глаз“, სრული კომპლექტი, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. 22-31-30.

იყიდება ქარხნული წესით დამზადებული უჟანგავი ლითონის კასრები ტევადობით 300 ლიტრით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სითხისათვის. 1 ცალის საწყისი ფასი 120 ლარი. ტელ.: 34-84-83.

იყიდება დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, მეორე გამოცემა, 52 ტომი. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ ხარაგაულში, 9 აპრილის 35-ში, ტელ.: 2-11-61.

იყიდება კაპიტალური ავტოფარეხი ვაჟა-ფშაველას I კვარტალში, მე-12 კორპუსთან, საწყისი ფასი 3000 დოლარი. ტ: 39-01-40.

იყიდება ანტიკვარული ავეჯი. ფასი შეთანხმებით. 39-47-23.

იყიდება მაცივარი, ტევადობა 3 ტონა და 700 კგ. კარგ მდგომარეობაში, და ოთხგანყოფილებიანი კარადა-მაცივარი, ფასი შეთანხმებით. 35-39-62.

იყიდება გერმანული, ანტიკვარული, შანდლებიანი პიანინო – „შრედერი“. ფასი შეთანხმებით, გოგი.

შევისყიდი მუშა მდგომარეობაში მყოფ „IBM“ – 386, „IBM“ – 486“ კომპიუტერებს 37-25-14; 96-36-5[illegible] 95-92-57.

იყიდება გაზ. 3102-ის ძარა (კუზაო[illegible]) შავი ფერის. ფასი შეთანხმებით. ტელ 74-36-62.

იყიდება ფინური სამეული, ფას[illegible] 2500 დოლარი, ანტიკვარული სარკ[illegible] – 600 დოლარი. ველოტრენაჟორ[illegible] – 100 დოლარი. ტელ: 96-27-67.

ქირავდება ავტოფარეხი ბახტრ[illegible]ონის ქუჩაზე, ფასი შეთანხმები[illegible] ტელ: 37-74-71.

## ავტომანქანები



იყიდება ავტომანქანა „ფორდ-სი[illegible]ერა“, რომელიც გამოშვებულია 1984 წელს. მანქანა თეთრი ფერისაა [illegible] ორკარიანია, მოტორის სიმძლავრე 1,6 მოცულობისაა. აქვს ყველა [illegible]თადარიგო ნაწილი, ფასი შეთ[illegible]ხმებით. ტელ: 31-59-20, 31-59-52, 3[illegible] 93-79, ზაური, გურამი.

იყიდება „გაზ-69“, ძალიან კარ[illegible] მდგომარეობაში, ახლად გაკეთე[illegible]ბული ძრავითა და ხიდით, ფასი შ[illegible]თანხმებით, ან იცვლება აგარაკზ[illegible] დარეკეთ: 95-19-53, დათო.

იყიდება ტრაქტორი „ტ-16“ [illegible] წლის. უკანა მხარეს დამონტაჟ[illegible]ბული აქვს ამწე და მისაბმელი მ[illegible]ქანიზმი, თან მოჰყვება წინა და უ[illegible]ნა ახალი საბურავები და სხვად[illegible] სხვა ნაწილები. ფასი შეთანხმები[illegible] ტელ: 64-36-88.

იყიდება „უაზი“- 471, უფანჯრ[illegible]ბო, 1989 წლის გამოშვება, გარბ[illegible] 1000 კილომეტრი. ფასი 8000 დო[illegible]ლარი. ტელ: 93-37-86. მერაბი.

იყიდება ავტომანქანა „გაზ-53“ მ[illegible]რკის ბენზინმზიდი, 4200 ლიტრ[illegible] ტევადობის, კარგ ფორმაში. ფას[illegible] შეთანხმებით. ტელ: 78-58-89, საღ[illegible]მოს, გურამი.

იყიდება ავტომანქანა „ფიატ-კრ[illegible]მა“, 1988 წლის გამოშვება. ფას[illegible] 5700 დოლარი. ტელ.: 96-74-75, გ[illegible]ორგი.

იყიდება ავტომანქანა „მერკ[illegible]კარი“ ახალი ძრავით, კარგ მდგ[illegible]მარეობაში. ტვირთამწეობა 2 ტონ[illegible] ფასი შეთანხმებით. ტელ.: 71-25-1[illegible]

ვყიდი შეღავათიან ფასებში ა[illegible]ტომანქანა „ვოლგა-21“-ის სათად[illegible]რიგო ნაწილებს – კარებს, უკ[illegible] ფრთებს, კარნიზებს და სხვ. ტე[illegible] 98-40-29.

იყიდება „ზილ-157“, ახალი, [illegible] მხიდიანი მანქანა. ფასი 2000 დ[illegible]ლარი. მისამართი: ჩაპაევის I [illegible] სახევევი, № 11, ტელ: 66-70-98.

იყიდება ახალი ჩამოყვანილი, [illegible]ლიან კარგ მდგომარეობაში მ[illegible]როავტობუსი „ფოლკსვაგენი“. [illegible]ვლილი აქვს 22000 კმ. ფასი შე[illegible]ნხმებით. ტელ. 22-22-46.

იყიდება „ვაზ 21-09“ მარკის [illegible]ტომანქანა 1991 წ. გამოშვებ[illegible] კარგ მდგომარეობაშია. ფასი [illegible]თანხმებით. ტელ: 93-10-80.

ვყიდი 1990 წელს გამოშვებ[illegible] „ზაპოროჟეცს“. ტელ.: 94-23-43.

სასწრაფოდ იყიდება თეთრი [illegible]რის „ვაზ-21-06, გამოშვებული 19[illegible] წელს. ფასი 2800 ლარი. ტელ: [illegible] 28-23, ანიკო.

იყიდება ტრაქტორი „ტ-15 კ“ [illegible]თნით და მისაბმელით. კარგ [illegible]გომარეობაში, ფასი 7000 ლ[illegible] ტელ: 22-35-73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამბო

ცნობილია, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, თუ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი სხვადასხვა სინჯის მედალი სწორედ ქართველმა ფალავნებმა მოიპოვეს. სამწუხაროდ, ჭიდაობა სამბო დღესაც კი არ არის შეტანილი ოლიმპიადის პროგრამაში, თორემ ოლიმპიური მედლების „მოსავალი“ გაცილებით უხვი იქნებოდა... დღეს ჩვენი სტუმარია საქართველოს სამბისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ოლეგ იაძე:

# ძალა შესწევთ ქადილისა

***— ბატონო ოლეგ, შარშან ქართველმა სამბოს ოსტატებმა ნამდვილად ივაჟკაცეს — იაპონიის დედაქალაქში მოასპარეზე შვიდივე მოჭიდავე სამშობლოში მედლით დაბრუნდა. საქართველოს „ნაკრებმა“ განვლილ მსოფლიოს პირველობაზე მეორე გუნდური ადგილი დაიკავა. რაში გახლდათ ამ ტრიუმფალური გამოსვლის საიდუმლოება?***

— მართალი ბრძანდებით, სამბისტთა იაპონური ტრიუმფი მართლაც თვალსაჩინო მოვლენა იყო ჭიდაობის ამ სახეობის ისტორიაში. ნაკრები რომ სრული შემადგენლობით ყოფილიყო, ჩვენი ფალავნები აუცილებლად შეძლებდნენ რუსეთის ნაკრების დამარცხებას, რომელმაც ტოკიოში გუნდური პირველობა მოიგო. რაც შეეხება თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილს, ამ წარმატებაში საიდუმლო არაფერია. ჭიდაობა სამბოს ფედერაცია შემიძლია ცირკის ილუზიონისტებს შევადარო. ნაკრებს არ გააჩნია შეჯიბრებისათვის მზადების ელემენტარული პირობები — საწვრთნელი დარბაზი, გათბობითა და ცხელი წყლით. კაკო ყაჩაღისა არ იყოს: სად გვიღამდება იქ გვითენდება... მსოფლიოსა და ევროპის ოფიციალური ჩემპიონატებისათვის მზადებას ყველა მოჭიდავე თავის კუთხეში გადის, ზოგს ამის საშუალებაც კი არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოჭიდავეები ნებისმიერი შეჯიბრებიდან შინ მედლებით ბრუნდებიან.

***— ახლახან გამართულ სამბოს ფედერაციის ყრილობაზე პრესის მუშაკებს ბრალი დასდეთ ცალმხრივობაში, სამბისტებისადმი გამოჩენილ გულგრილობაში...***

— უბრალოდ, ჩემი ფალავნებისა და სამბოს აღმზრდელ-მწვრთნელთა სახელით გულისტკივილი გამოვთქვი იმ სპორტული ჟურნალისტების მიმართ, რომლებმაც 1996 წლის სამ საუკეთესო გუნდში, სამბისტების ნაცვლად მორაგბეები დაასახელეს. ყველას თავის საქმეში ხელი მოუმართოს, მაგრამ ჩვენი ნაკრები უსათუოდ იმსახურებდა უკეთეს ადგილს. ან როგორ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ სამბისტმა ჯონდო მუზაშვილმა ზედიზედ ორჯერ მოიგო მსოფლიოს პირველობა, მასმედიის წარმომადგენლებმა კი იგი სამეულშიც არ დაასახელეს. ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ჭიდაობა უაღრესად პოპულარულია. მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე: უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ქართველმა სამბოს სტილის ოსტატებმა მარტო ოფიციალურ ჩემპიონატებზე ოქროს 19, ვერცხლის 33 და ბრინჯაოს 35 მედალი მოიპოვეს, ჩვენმა მოჭიდავემ ივანე გამხიტაშვილმა ოთხწლედში 9 სხვადასხვა მედალი მოიპოვა...




***— ალბათ, საქართველოს სპორტული ჟურნალისტები წლევანდელ სეზონში გაითვალისწინებენ თქვენს გულისტკივილს, თუ, რა თქმა უნდა, ოქტომბერში საქართველოს სამბისტთა ეროვნული ნაკრები თბილისში, მსოფლიო ჩემპიონატზე ღირსეულად იასპარეზებს.***

— საქართველოს დედაქალაქში მსოფლიოს პირად-გუნდური ჩემპიონატის დანიშვნა ჩვენი ფედერაციისა და მისი პრეზიდენტის, ბატონ ნოდარ ექვთიმიშვილის დიდი დამსახურებაა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ჭიდაობის ეს სახეობა უძველესია საქართველოში. ახლა საქმე ის არის, თუ როგორ ორგანიზებულად ჩავატარებთ მას. თბილისს 30 ქვეყნის 300-მდე მოჭიდავე ეწვევა. თუ არ ვცდები, თბილისი პირველად გაუწევს მასპინძლობას ასეთ სერიოზულ შეჯიბრებას და თავი არ უნდა შევირცხვინოთ.

ჩვენ რაც შეგვეხება, შევეცდებით მსოფლიოს პირველობისათვის შესაფერისად მოვემზადოთ. სამბოში გააუქმეს ყველაზე მჩატე – 48 კგ. წონითი კატეგორია. მასპინძელთა მხარეზე იქნება საკუთარი კედლები, მაყურებლები. ჩვენს გუნდს აუცილებლად უნდა დაეხმარო სპონსორები და ყველა ის ძველი ფალავანი, ვისაც უყვარს ჭიდაობის ეს ვაჟკაცური სახეობა. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ჩვენი ეროვნული ნაკრები აუცილებლად დაამარცხებს რუსეთის ძლიერ გუნდს და ვეცდებით მეორის ნაცვლად, ამჯერად პირველ ადგილზე გავიდეთ.

***— მართალია თუ არა, რომ სამბო 2000 წლის ზაფხულის XXVII ოლიმპიადის პროგრამაში უნდა შეიტანონ?***

— ეს საკითხი კარგა ხანია დგას დღის წესრიგში, ჯერ კიდევ 1980 წლის ზაფხულის მოსკოვის ოლიმპიადის დროიდან ვფიქრობთ ამის თაობაზე. განსაკუთრებით მწვავედ დავაყენებთ ამ საკითხს თბილისის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს გამართულ კონგრესზე, სადაც ახალი პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. რაც უფრო ადრე შეიტანენ ჭიდაობა სამბოს ზაფხულის ოლიმპიადების პროგრამაში, მით უკეთესია ჩვენთვის. წარმოიდგინეთ, ავსტრალიის 2000 წლის თამაშებზე რომ 9 ქართველი სამბისტი გამოვიდეს, შინ რამდენი მოჭიდავე დაბრუნდება მედლით?

***— ბატონო ოლეგ, როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?***

— ევროპის 1997 წლის ჩემპიონატი წლეულს ბაქოში გაზაფხულზე გაიმართება. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება კარგად მოვემზადოთ და სრული ნაკრები ჩამოვიყვანოთ აზერბაიჯანის დედაქალაქში. მედლების ჩამოტანა ჩვენზე იყოს, ხოლო პრესაში შექება – თქვენზე...

ესაუბრა
**შალვა ქირია.**

# დაიწყეს ახალი სეზონი

ახალი სპორტული სეზონის პირველი რესპუბლიკური თასის გათამაშება სამბოში ახლახან დასრულდა დიღმის სპორტული სკოლა-ინტერნატის დარბაზში. საპატიო პრიზის გათამაშება ორ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა და მასში 300-მდე ფალავანი მონაწილეობდა. აი ჭაბუკი ჩემპიონებიც:

48 კილოგრამი – ნოდარ მჭედლიშვილი (საგარეჯო), 52 კილოგრამი – მიხეილ ტალახაძე (ხაშური), 56 კილოგრამი – გოჩა ლიჩელი (თბილისი), 60 კილოგრამი – ვახტანგ თოთლაძე (რუსთავი), 65 კილოგრამი – შალვა მოხევიშვილი (თბილისი), 70 კილოგრამი – ლაშა რობაქიძე (თბილისი), 75 კილოგრამი – ნიკოლოზ ბიბილაშვილი (გორი), 81 კილოგრამი – ზვიად ჩაგელიშვილი (თბილისი), 87 კილოგრამი – აკიო ზვიადაური (ახმეტა), 87 კილოგრამი – ზვიად ჩინჩლაძე (რუსთავი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: თბილისი, რუსთავი, ახმეტა.

ახლა წარმოგიდგენთ საქართველოს თასის გამარჯვებულებს დიდებს შორის:

52 კილოგრამი – მიხეილ ჩახვაშვილი (გორი), 57 კილოგრამი – მამუკა მაზმიშვილი (ქარელი), 62 კილოგრამი – კახაბერ მოცრაძე (თბილისი), 68 კილოგრამი – მიხეილ ფალამშვილი (კასპი), 74 კილოგრამი – დავით ღუღუნიშვილი (ლაგოდეხი), 82 კილოგრამი – მამუკა ჯანანაშვილი (კასპი), 90 კილოგრამი – ვანო არაბული (თბილისი), 100 კილოგრამი – იოსებ ახალბედაშვილი (გორი), 125 კილოგრამი – ჯამბულ ხამხაძე (კასპი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდნენ კასპელები. შემდეგ მოდიან თბილისისა და გორის მოჭიდავეები.

**შალვა ბახტაძე.**

## ჭადრაკი

### დიდოსტატებს თავზარს დასცემენ?!

ჰაპარტაში გაიმართა „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი“ საჭადრაკო კომპიუტერებს შორის. სულ წარმოდგენილი იყო 28 „ხელოვნური მოჭადრაკე“ 12 ქვეყნიდან. შეჯიბრება მიმდინარეობდა შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად.

ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა გერმანული საჭადრაკო პროგრამა „შრედერი“ ქ. პასაუდან. მან 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა „ფერე“ (აშშ), ერთი ქულით კი ავსტრიული „ნიმცო-3“.

### „სპორტული დიდების მუზეუმში“

სეოკ-ის პრეზიდენტმა სამარანჩმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ იგი სიამოვნებით დაუთმობს ჟენევის „სპორტული დიდების მუზეუმს“ ისეთ მეტად საინტერესო ღონისძიებას, როგორიც არის გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში.

ეს მატჩი, საორიენტაციოდ, შემოდგომის დამდეგიდან უნდა გაიმართოს.

### 16 დეკემბერს, ელისტაში

როგორც სეოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვს აცნობა, იგი ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში ჩამოვა და 16 დეკემბერს დაესწრება მსოფლიო ჩემპიონატის გახსნას ჭადრაკში ახალი სისტემით, 99 დიდოსტატის მონაწილეობით.

## ფეხბურთი

### ფიფას ახალი რეიტინგი

არც თუ დიდი ხანი გავიდა შარშანდელი დეკემბრიდან, როცა ფიფამ საფეხბურთო კლუბების მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა და აი, ახლა, თებერვლის დასაწყისში ახალი რეიტინგი გამოჩნდა. ერთის შეხედვით, მასში თითქოს დიდი ცვლილებები არ მომხდარა, მაგრამ ფეხბურთში გათვითცნობიერებულნი ბევრ სხვაობას მაინც აღმოაჩენენ, თუნდაც იმას, რომ მინიმუმამდე შემცირებულა სხვაობა რეიტინგის თითქმის უცვლელი ლიდერების – მსოფლიოს ჩეპიონების – ბრაზილიისა და გერმანიის მაჩვენებელს შორის.

აი, როგორ დალაგდა პირველი ოცეული (ფრჩხილებში ნაჩვენებია დეკემბრის რეიტინგის მიხედვით დაკავებული ადგილი). 1 (1). ბრაზილია – 64, 36 2 (2) გერმანია – 64,12 3 (3). საფრანგეთი – 61,85 4 (6). დანია – 61,25. 5 (4). კოლუმბია – 61.04. 6 (5). ჩეხეთი – 60,84 7 (8). ესპანეთი – 60,59. 8 (7) რუსეთი – 59,31. 9 (9). ჰოლანდია – 59,28 10 (10). იტალია – 57,32. 11 (11). მექსიკა – 56,84. 12 (12) – ინგლისი 56,13. 13 (13) პორტუგალია 55,72. 14 (15) ბულგარეთი – 55,34. 15 (16). რუმინეთი – 55,28. 16 (17) შვედეთი – 55,18 17 (14). ნორვეგია – 54,47. 18 (22) არგენტინა – 52,75. 19 (21) იაპონია – 52,41. 20 (20). ზამბია – 51,85.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, თუ ჩვენ ამ რეიტინგის რომელ საფეხურზე ვდგავართ.

### „ალანიას“ შელიამ მოაგებინა

იტალიაში გაიმართა ერთდღიანი ტურნირი სამი გუნდის მონაწილეობით. რუსეთის ჩემპიონატის შარშანდელმა ვერცხლის პრიზიორმა „ალანიამ“ (ვლადიკავკაზი) პირველ მატჩში დაამარცხა მოსკოვის „დინამო“. ერთადერთი ბურთი მეტოქის კარში შელიამ გაიტანა. მეორე შეხვედრაში, რომელიც პირველის მსგავსად 45 წუთს გრძელდებოდა, ვლადიკავკაზელების მოწინააღმდეგე ადგილობრივი „რეჯანო“ იყო. „ალანიამ“, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ბოლო 10 წუთი ცხრა კაცით თამაშობდა (იტალიელმა არბიტრმა მინდვრიდან ერთბაშად გააძევა ცხადაძე და ჯიოევი), მაინც მიაღწია ფრეს – 0 : 0 და პირველი ადგილი დაიკავა. მეორეზე დინამოელები გამოვიდნენ; მათ პენალტებით მოუგეს მასპინძლებს 4 : 3 (0 : 0).

### ფული მცოტავათ?!

18 მილიარდი ლირა (11 მილიონი დოლარი) შეაძლია ლონდონის „არსენალმა“ იტალიის „ლაციოს“ ფორვარდ ჯუზეპე სინორში. იტალიური კლუბის პრეზიდენტი სერჯო კრანოტი ამის თაობაზე უკვე ესაუბრა ფეხბურთის აგენტს ოსკარ დამიანს. კლუბი თავის ბომბარდირში, რომელმაც ბოლო ხუთ სეზონში 110 ბურთი გაიტანა, 20 მილიარდ ლირას თხოულობს. მაგრამ ყოყმანის მთავარი მიზეზი ეს როდია – გუნდის პატრონებს ეშინიათ, რომ სახელგანთქმული კაპიტნის ინგლისში გამგზავრება იტალიელი ტიფოზების დიდ გულისწყრომას გამოიწვევს. სწორედ ასე მოხდა ორი წლის წინ, როცა სინორის „პარმისათვის“ მიყიდვა გადაწყვიტეს. მაშინ გულშემატკივრებმა გააფრთხილეს გუნდის ხელმძღვანელობა, რომ მკაცრად გაუსწორდებოდნენ ამისათვის.

### ზეპ მაიერს დიდად უმადლის

იმას, რომ ახლა ასე ბრწყინვალედ თამაშობს, გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი ძირითადად ზეპ მაიერს უმადლის. მაიერი, რომელიც, როგორც ცნობილია, თავის დროზე მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე იყო, ახლა „ბაიერნის“ მწვრთნელად მუშაობს. მას მხოლოდ კარის დარაჯების ვარჯიში ევალება.

– ორი წელია მაიერთან ვმუშაობ და შედეგებით მეტად კმაყოფილი ვარ – ამბობს კანი. ექსპერტები კი თვლიან, რომ დროდადრო იგი მოქმედებს, როგორც ნამდვილი აკრობატი.

საქართველოს რესპუბლიკა
№38, კვირა 16 თებერვალი 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შავი იუმორი

დღეს მთელი ქვეყანა კორუფციაზე ლაპარაკობს. გადავწყვიტე მეც დაველაპარაკებოდი. დიდი ვაი — ვაგლახით ტელეფონი დავაზუსტე და ნომერი ავკრიფე. არავინ გამომეხმაურა. ოთხნიშნა მთავრობის ტელეფონით ვცადე. არც ეს იკადრა (მინისტრივით იქცევა), მაშინ სამნიშნაზე (დიდი მთავრობა) გადავედი. როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

# ალო, გისმენთ კორუფცია!..

***— სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა, ბატონო კორუფცია, თუ დაკავებული არ ბრ-***



***ძანდებით, მინდა ინტერვიუ გთხოვოთ.***

— ჟურნალისტებს საერთოდ არ ვხვდები და არც ინტერვიუს ვიძლევი.

***— იცით, მე რიგითი ჟურნალისტი არა ვარ.***

— მით უარესი, ამიტომაც ვერ გენდობით.

***— კეთილი, მაშინ თქვენი სავიზიტო ბარათი: ვინ ხართ და სადაური ხართ?***

— წარმოშობით იტალიელი, ეროვნებით ქართველი.

***— ეს როგორ გავიგო?***

— ჩვეულებრივად. ქართველი ვარ, მაგრამ საქმეში იტალიური მაფიის „მასტი“ მიჭირავს. ჩვენს მეზობელ სომხეთში, მაგალითად, კორუფცია პროამერიკული ორიენტაციისაა.

***— ესე იგი, სომხეთის კორუფცია უფრო პროგრესულია?***

— როგორ გეკადრებათ, იტალიურ კორუფციას მთელ დუნიაზე ბადალი არა ჰყავს.

***— აგაშენათ ღმერთმა, სომხებს ამაში მაინც ვაჯობებთ.***

— რა თქმა უნდა.

***— მაინც რითი სჯობია ჩვენი კორუფცია იმათისას?***

— თუნდაც ექსპორტის მოცულობით. აბა იანგარიშეთ, რალაც 3-4 წელიწადში საქართველოს სიმდიდრის უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ გავზიდეთ და იქაურ ბანკებში დავაბანდეთ. ამას სომხური კორუფცია იმ საუკუნეშიც ვერ მოასერხებს.

***— ჰუმანიტარულ დახმარებას რაღა უყავით, ისიც უცხოეთში დატოვეთ?***

— უცხოეთში მხოლოდ ნაწილი დავტოვეთ, მეორე ნაწილი აქ შემოვიტანეთ და ჯიხურებში გავყიდეთ.

***— ხალხს არაფერი დაუტოვეთ?***

— აბა, ვისთვის გავხსენით ჯიხურები? იქ ჰუმანიტარული პროდუქტები და მედიკამენტები იმის ნახევარ ფასში იყიდებოდა, რაც მათ მწარმოებელ ქვეყნებში ღირს. ამას, ჩემო კარგო, დანახვა უნდა.

***— ახლა მერია ჯიხურებს რომ იღებს?***

— გასაყიდი უკვე გავყიდეთ (ჰუმანიტარული ტვირთები მეტი აღარ იქნება) და ახლა თუნდაც სანაგვეზე გადაუყრიათ.

***— აბა, „მალბოროს“ ჯიხურებით რომ სავსეა დედაქალაქი?***

— ეგ სხვა საქმეა. „მალბოროში“, საერთოდ, სიგარეტებში, ჯერ კიდევ დიდი ფული კეთდება.

***— ბაზრობებიდანაც?***

— იქიდან უფრო მეტი — დღეში საშუალოდ 300 ათასი დოლარი.

***— ხომ ვერ გვეტყვით როგორ და რა გზებით?***

— ეგ ჩვენი საიდუმლოა.

***— ნარკობიზნესიც?***

— რა თქმა უნდა. ამასთან დაკავშირებით კრინტსაც ვერ დამაძვრევინებთ.

***— ევრაზიის დერეფანთან რა კავშირი გაქვთ?***

— საქმიანი. სწორედ ამ დერეფნით გაგვაქვს და შემოგვაქვს კონტრაბანდა.

***— აკი ჯერ არ გახსნილაო?***

— ეგ ოფიციოზისთვის არ გახსნილა, თორემ ჩვენ, რა ხანია, ამ გზით ვმდიდრდებით.

***— მაგას თუ გამდიდრება ჰქვია! შავი ფულით, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჯერ არავინ ცხონებულა.***

— შავი თავიდან არის, თორემ... ჩვენ მას საზღვარგარეთულ ბანკებში ვრეცხავთ და ისე ვინახავთ.

***— თუ შეიძლება, ერთსაც შეგეკითხებით?***

— თქვით.

***— კორუფციასთან ბრძოლის გამოცხადება არ გაშინებთ?***

— არა, ყველა ქვეყნის მთავრობისთვის კორუფციასთან ბრძოლა მომგებიანია.

***— როგორ?***

— იმიჯს იკეთებენ... მე კი იმასთან ვთანამშრომლობ, ვისაც თაფლში ხელი ურევია...

***— იმათ გვარებს ხომ არ დაგვისახელებდით?***

— ტუ... ტუ... ტუ...

***...ჩანს, ვიღაცას ჩვენი საუბარი არ მოეწონა და გაგვ-***



***თიშა, ან თვითონ ბატონმა კორუფციამ მეტის თქმა აღარ მოისურვა. კიდევ კარგი, თორემ, რაც მან სისულელეები ილაპარაკა, ზოგს შეიძლება მართალი ეგონოს.***

**ოთარ ხუციშვილი.**

მხატვარი
**ვახტანგ კუცია.**

## ბრალი ედება

### ჰყიდდა ნარკოტიკს

კრიმინალური პოლიციის და რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს რუსთავში მცხოვრები ავთანდილ ბერძენიშვილი.

მას ბრალი ედება იმაში, რომ ადრე დაკავებული დავით რევიშვილის მეშვეობით ვესტაფონის რაიონში ჰყიდდა ნარკოტიკულ ნივთიერებას ოპიუმს.

საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის ვესტაფონის ქვეგანყოფილება იკვლევს.

საქინფორმი.

## ხსოვნა



### მერი ჯაფარიძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი არქიტექტორი მერი ვახტანგის ასული ჯაფარიძე.

დაიბადა თბილისში სახალხო მხატვრის, პროფესორ ვახტანგ ჯაფარიძის ოჯახში. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტში“ ქალაქგეგმარების განყოფილებაში. მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა მიუძღვნა თავისი მშობლიური თბილისის სამსახურს.

ქალბატონი მერი თავისი ადამიანური თვისებებით — უპრეტენზიო, თავმდაბალი, მოკრძალებული, ამავე დროს უკომპრომისო და პრინციპული, შრომისმოყვარე და პატიოსანი — ზუსტად შეერწყა ქალაქგეგმარებითი ხასიათის ხშირად დაუფასებელ შრომას და მოღვაწეობას.

მერი ჯაფარიძე მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად ხასიათდებოდა ხალისიანი, კაცთმოყვარე, მოქალაქეობრივი მოვალეობის მატარებელ პიროვნებად. ცხოვრების უკუღმართობამ, ოჯახის დიდმა ტრაგედიამ, ვაჟიშვილის — ვახტანგის უდროოდ დაღუპვამ ვერ გაანელა ქალბატონ მერის დიდი სიყვარული თავისი ქვეყნის და ქალაქის მიმართ და მან საქართველოს ხელოვნების მუზეუმს უსასყიდლოდ, საჩუქრად გადასცა მამის — ვახტანგ ჯაფარიძის 200 სურათი.

მერი ჯაფარიძის ხსოვნა, როგორც მაღალი რანგის პროფესიონალის, თავის საქმესა და სამშობლოზე შეყვარებული ადამიანის, ნატიფი გემოვნებით და სილამაზის შეგრძნებით სავსე პიროვნების ნათელი სახე მუდამ დარჩება მის კოლეგებსა და მეგობრებში.

ს.ს.ი. „თბილქალაქპროექტი“; საქართველოს არქიტექტორთა კავშირი; საქართველოს ურბანისტთა საზოგადოება; ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების დეპარტამენტი.

---

ენერგოკომპანიები „საქენერგო“, „საქენერგოგენერაცია“ და საპროექტო ინსტიტუტი „ენერგოქსელპროექტი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსი

**თამაზ დავითის ძე ყიფიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის სამგორის რაიონის განათლების განყოფილება, მეთოდური კაბინეტი და სასწავლო დაწესებულებები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რაიონის საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტი, ღვაწლმოსილი მუშაკი

**ლია ივანეს ასული მაჭავარიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის ვაკის რაიონის განათლების განყოფილება თანაუგრძნობს ამავე რაიონის 57-ე საშუალო სკოლის დირექტორს ქუქუნა მუმლაძეს დედის გარდაცვალების გამო.

---

თბილისის 57-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური, მშობელთა და მოსწავლეთა კოლექტივი თანაუგრძნობს ამავე სკოლის დირექტორს ქუქუნა მუმლაძეს დედის გარდაცვალების გამო.

---

თბილისის 57-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება

**მურა პორფილეს ასულ ჩინჩალაძე-მუმლაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები შალვა, ლამარა ჯამასპიშვილები, შვილიშვილები ნუკრი, მამუკა, მარიკა, გიორგი, სიძე შოთა თუთაშვილი, დები ლუბა, მარიამი, ლიანა, მულები ლიდა, ნათელა, ციალა, ნათესავები, ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კალისტინე (კატუშა) სერაპიონის ასული ბიწაძე-ჯამასპიშვილისა**

პანაშვიდი 16, 17 II, 16 ს., გამოსვენება 18 II, 2 ს., სპანდარიანის ქ.№ 2.

---

შვილები ნაზი, ქუქუნა ნაჭყებიები, სიძე გურამ ვარდიაშვილი, შვილიშვილები ნანა, გია ვარდიაშვილები, პატარა ნაზიბროლა ლატარია, ბიჭიკო მაცუკატოვი, სიძე თემურ ლატარია, ძმისშვილი ვიტალი ნაროუშვილი, რძალი სვეტლანა შანავა, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოლია (ოლგა) ნაროუშვილი-ნაჭყებია**

პანაშვიდი 18, 19 II, 16 ს., დაკრძალვა 20 II, 2 ს., ქ. წამებულის ქ. 58, მეტრო 300 არაგველებთან.

## ღიმილის დოზა

### ქალი და მამაკაცი

ჩემი კაცი ქმარი კი არა, ნამდვილი სექსუალური მანიაკია. რატომღაც, ყველა ჩემი მეგობარი ქალიც ასე თვლის, თუმცა მე კრინტიც არ დამიძრავს.

* * *

გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ ყველა მამაკაცი ბრიყვია, მაგრამ პირადად მე, ჭკვიანი კაცი, მადლობა ღმერთს, ჯერ არ შემხვედრია.

* * *

ახალ ბინაში ჩვენს ინტიმურ ცხოვრებას სულ მთლად არანორმალური ხასიათი მიენიჭა. მე და ჩემი ქმარი ნახევარ ღამეს ტარაკანების ხოცვაში ვატარებთ, მერე კი მოცელილივით ვეცემით. დილით სამუშაოზე დაოსებული რომ მივდივარ, ყველა ქალი მე შემომნატრის.

* * *

სამსახური რომ შემომთავაზეს, მითხრეს, რომ ფირმას ესაჭიროება ქალიშვილი ღამღამობით პეიჯერით მუშაობისათვის. მთელი თვე ვიმუშავე, და თუ ამას ახლა პეიჯერი ჰქვია, ნამდვილად არ ვიცოდი...

## სენსაციის მიჯნაზე

მრავალტონიანი სატვირთო ავტომანქანის მძღოლი ინგლისელი პიტერ დოუდესვილი გინესის წიგნში რეკორდსმენია სანსვლაში. არ გეგონოთ, რომ ეს ტიტული იოლად ერგო. ჩემპიონი 1,2 ლიტრ რძეს ნთქავს 2 წამში, 91 მეტრ სპაგეტის — 12,2 წამში, 17 გაფცქვნილ ბანანს — 107 წამში, ხოლო 113 ტკბილღვეზელას — 7 წუთში. მის ცოლსა და ორ ვაჟს ჯერჯერობით შეუძლიათ დაიტრაბახონ მხოლოდ შესანსლული საჭმლის რაოდენობით, მაგრამ არა სანსვლის სისწრაფით. როგორც ჩანს, სანსვლა მათი ოჯახური ტრადიციაა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქობულია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.